# ალია

N121/3051/ 7 აგვისტო 2014 წ ფასი 1 ლარი

ორშაბათი ქრონიკა | სამშაბათი ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან


## რას შეცვლის „ალიას“ ინიციატივით გარემოს დაცვის სამინისტრო მონადირეებისთვის





## „ნაციონალები“ ხელისუფლებაში დაბრუნებას „სამკუთხედის თეორიაზე“ დაყრდნობით გეგმავენ?

## რა პრობლემებია საქალაქო ტრანსპორტში...

## მამა გიორგი რაზმაძე „კაზანტიპის“ ორგანიზატორებს კატეგორიულად აფრთხილებს



## ბებიისა და შვილიშვილის მკვლელის ოჯახის გასახლებას ითხოვენ



ხმაური იყო ახალციხის რაიონის სოფელ აფნიაში. ივლისის დასაწყისში სოფელში მოკლული ბებია-შვილიშვილის ახლობლები მკვლელობაში ბრალდებულის დებისა და ნათესავების ახლა უკვე აფნიიდან გასახლებას ითხოვენ.

მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულის ოჯახი გოგაშენის ნაცვლად მეზობელ სოფელში გადავიდა საცხოვრებლად, ადგილობრივები მათი გასახლების მოთხოვნით ისევ გამოდიან.

მოსახლეობამ ბრალდებულის ოჯახის წევრების გასახლება საკუთარი ძალებით სცადა, თუმცა პოლიციამ სიტუაციის განმუხტვა შეძლო. (ნიუპოსტი)



## კონსტანტინე სურგულაძე ნიდერლანდებში ელჩად წარადგინეს

დიასპორის საკითხებში ყოფილი სახელმწიფო მინისტრის კონსტანტინე სურგულაძის კანდიდატურა ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობაზე პრეზიდენტს წარედგინა.

ჯერჯერობით უცნობია, როდის დაამტკიცებს პრეზიდენტი სურგულაძის კანდიდატურას ელჩის თანამდებობაზე.

შეგახსენებთ, რომ მინისტრის პოსტს სურგულაძე 2014 წლის ივლისამდე იკავებდა. აღნიშნულ თანამდებობაზე სურგულაძე მისივე მოადგილემ, გელა დუმბაძემ ჩაანაცვლა. (რეპორტიორი)

## „სააკაშვილის საქმე ოქრუაშვილისა და ბურჯანაძის ჩვენებებს ეფუძნება“



ექსპრემიერ ვანო მერაბიშვილს ვალერი გელაშვილის ცემის ფაქტზე ბრალი ე.წ. მატროსოვის ციხეში ოფიციალურად წარუდგინეს. მერაბიშვილმა უარი თქვა ბრალის გაცნობასა და მის ჩაბარებაზე. ბრალის ოფიციალურ წარდგენას მერაბიშვილის ადვოკატები ესწრებოდნენ.

პროკურორის განცხადებით, მერაბიშვილი და სააკაშვილი უშუალო შეხებაში იყვნენ ირაკლი ოქრუაშვილთან, რომელიც მაშინ მაღალი თანამდებობის პირი იყო და სწორედ ოქრუაშვილი იძლევა მათ წინააღმდეგ ჩვენებას.

მერაბიშვილისა და სააკაშვილის ადვოკატები კი განმარტავენ, რომ საქმეში არანაირი მტკიცებულება, გარდა ბურჯანაძისა და ოქრუაშვილის ჩვენებებისა, არ არის.

სააკაშვილის ადვოკატის, ოთარ კახიძის განცხადებით, საქმეში სპეცრაზმელების ჩვენებაც კი არ არის.

„ბრალის დადგენილების მიხედვით, სააკაშვილმა დაავალა მერაბიშვილს რაღაც მოქმედება, მერაბიშვილმა კოდუას დაავალა რაღაც მოქმედება და კოდუამ სპეცრაზმელებს – რაღაც მოქმედება. საინტერესო ის არის, რომ კოდუამ რომ დაავალა სპეცრაზმელებს, ესეც კი არ არის საქმეში, ამის დამადასტურებელი მტკიცებულება. კოდუას ჩვენება არ მიუცია მერაბიშვილის წინააღმდეგ და მერაბიშვილს – სააკაშვილის წინააღმდეგ. ეს საქმე ეფუძნება ნინო ბურჯანაძეს და ირაკლი ოქრუაშვილს. ნინო ბურჯანაძე რაღაცას თხზავს, მორიგს“, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილის ადვოკატმა. (რეპორტიორი)

## სასჯელაღსრულების სამინისტრო მერაბიშვილისა და უგულავას განცხადებას პასუხობს



სასჯელაღსრულების სამინისტრო შს ექსმინისტრი ვანო მერაბიშვილისა და თბილისის ყოფილი მერის გიგი უგულავას განცხადებას ეხმაურება, რომელიც გარკვეული ნივთებით სარგებლობას ეხება.

‘2014 წლის 6 აგვისტოს, ბრალდებულებმა ვანო მერაბიშვილმა და გიგი უგულავამ, წინასასამართლო სხდომაზე გარკვეული ნივთებით სარგებლობის სურვილი გამოთქვეს.

ვანო მერაბიშვილის განცხადებით, მას ჩამოართვეს კომპიუტერი და ტელევიზორი, რომლებსაც თითქოს არ უბრუნებენ.

მიმდინარე წლის 8 ივლისს, ვანო მერაბიშვილმა დაარღვია დისციპლინა, კერძოდ, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა დაწესებულების თანამშრომელს, რის გამოც მას დაეკისრა პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული დისციპლინური სახდელი, კერძოდ, 4 თვით (მაქსიმალური ვადაა 6 თვე) შეეზღუდა ნებადართული ნივთებით: კომპიუტერითა და ტელევიზორით სარგებლობის უფლება.

მერაბიშვილის წარმომადგენლებმა აღნიშნული დისციპლინური სახდელი გაასაჩივრეს, რის შემდეგაც, მოსამართლის განჩინებით, მას სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებამდე, დროებით მიეცა კომპიუტერით სარგებლობის უფლება. აღნიშნული განჩინება სასჯელაღსრულების დაწესებულებამ შეასრულა და მას დროებით გადაეცა კომპიუტერი.

რაც შეეხება გიგი უგულავას, პატიმარს დირექტორის ნებართვით, მის ქცევაზე დაკვირვებისა და უსაფრთხოების შესწავლის შემდეგ, შეიძლება მიეცეს პირადი ტელევიზორითა და რადიომიმღებით სარგებლობის უფლება. ამისთვის საჭიროა, დაწესებულების ადმინისტრაცია გარკვეული დროის განმავლობაში დააკვირდეს მის ქცევას და შეისწავლოს ბრალდებული, ხოლო რაც შეეხება კომპიუტერულ ტექნიკას, ამისთვის საჭიროა ბატონ უგულავას უკვე ჰქონდეს მსჯავრდადებულის სტატუსი და განესაზღვროს დახურული ტიპის დაწესებულებაში განთავსება, სადაც მას დირექტორის გადაწყვეტილებით, წახალისების ფორმით, შეიძლება მიეცეს კომპიუტერით სარგებლობის უფლება.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის №97 ბრძანების მიხედვით, მაცივარი და გასანათებელი მოწყობილობა არ არის ბრალდებულისა და მსჯავრდადებულისთვის დაშვებული ნივთების ჩამონათვალში, შესაბამისად, წარმოადგენს აკრძალულ ნივთებს“, – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

## კანადამ რუსეთის წინააღმდეგ სანქციები გააძლიერა



6 აგვისტოს კანადამ რუსეთის წინააღმდეგ სანქციები გააფართოვა. სიაში რუსეთის ბანკები მოხვდნენ: „ვი-თი-ბი“, „როსსელხოზბანკი“, „რუსეთის ნაციონალური კომერციული ბანკი“ და „მოსკოვის ბანკი“.

სანქციათა სიაში ასევე მოხვდა რუსეთის გაერთიანებული გემთმშენებელი კორპორაცია „დობროლიოტი“. შემოღებულია, აგრეთვე, სანქციები ყირიმის ღვინის მწარმოებელი კომპანიებისა და ქერჩისა და სევასტოპოლის საპორტო ნაგებობათა მფლობელი კომპანიების წინააღმდეგ. (ნიუპოსტი)



## აუსრულეთ ოცნება, არ იმსახურებს, თუ?

საპარლამენტო უმცირესობის წევრი გიორგი ბარამიძე დაპატიმრებულ თანაგუნდელებს ბოდიშს უხდის.

„მინდა მივმართო ჩემს დაპატიმრებულ ძმებს. ბოდიში, რომ ფიზიკურად ჯერ კიდევ თქვენს გვერდით არ ვარ! თქვენს პროცესზე (ვერასდროს ვერ წარმოვიდგენდი) გულწრფელად მომინდა, მეც თქვენთან ერთად ვიჯდე ციხეში. თუმცა ხელოვნურად ისეთს არაფერს გავაკეთებ, რომ პუტინის ამ მონებს რაღაც სულელური საქციელის გამო თავი დავაჭერინო, მაგრამ გპირდებით, ჩემი და ჩვენი საერთო მეგობრების ბრძოლა ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისთვის არა თუ არ შესუსტდება, არამედ კიდევ უფრო უკომპრომისო და პრინციპული იქნება! საქართველოს ინტერესების ასე უნამუსოდ და უმოწყალოდ ფეხქვეშ გათელვას, პუტინის საქმის მკეთებელ ივანიშვილს, არ ვაპატიებთ“, – წერს ბარამიძე „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე. (ფრონტნიუსი)

## პუტინმა აშშ-დან, ევროპიდან, იაპონიიდან, კანადიდან და ავსტრალიიდან საკვები პროდუქტების შემოტანა აკრძალა



რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ერთი წლის ვადით სოფლის მეურნეობისა და სხვა სახის საკვები პროდუქტების შემოტანა აშშ-დან, ევროპიდან, კანადიდან, იაპონიიდან და ავსტრალიიდან აკრძალა. ინფორმაცია ამის შესახებ რუსეთის მთავრობის საიტზეა განთავსებული. ამასთანავე, პრეზიდენტმა მთავრობას იმ ზომების შემუშავება დაავალა, რომელიც აღნიშნულ საკვებ პროდუქტებზე რუსეთში ფასის ზრდას არ გამოიწვევს. შეგახსენებთ, რომ რუსეთის წინააღმდეგ სანქციები აშშ-მ, კანადამ, ევროკავშირის ქვეყნებმა, იაპონიამ და ავსტრალიამ უკრაინაში შექმნილი ვითრების გამო შემოიღეს. (ფრონტნიუსი)



## ნარმანიამ გამგებლებს პირველი დავალება მისცა

თბილისის მერმა დავით ნარმანიამ ათივე რაიონის გამგეობის თანამშრომლებს საკრებულოს მიერ დამტკიცებული გამგებლები წარუდგინა. ღონისძიებას დედაქალაქის მერთან ერთად, საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატებიც ესწრებოდნენ.

ნარმანიამ გამგებლებს პირველი დავალებაც მისცა და მათ გამგეობაში არსებული მდგომარეობის შესახებ კონკრეტული ინფორმაციის წარდგენა დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე დაავალა. ინფორმაციას თბილისის მერია ავრცელებს. (ნეწს.გე)

## რომან გოცირიძე რუსებმა „მოკლეს“



„პირველ აგვისტოს მომკლეს თურმე აფხაზეთში“, – ასე ეხმაურება ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში რომან გოცირიძე გამომცემლობა „**ВЕСТНИК КАВКАЗА**“-ს მიერ გამოქვეყნებულ სტატიას. რუსული მედიასაშუალება აფხაზეთში ავტოკატასტროფის შედეგად „აფხაზეთის რესპუბლიკის“ ეროვნული ბანკის თავმჯდომარის ილარიონ არღუნის დაღუპვის შესახებ ინფორმაციას ავრცელებს. თუმცა, სტატიას ილარიონ არღუნის ნაცვლად, საქართველოს ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტის რომან გოცირიძის ფოტო აქვს დართული.

„ამ რუსული გაზეთის ცნობით, პირველ აგვისტოს მომკლეს თურმე აფხაზეთში. სხვანაირად არ აუხდეთ ეს შეცდომა და, მართლაც, არ მოვევლინო მათ აფხაზეთის ეროვნული ბანკის პრეზიდენტად. გულწრფელად გეტყვით, სხვა სახელმწიფო თანამდებობა არ მინდა. მხოლოდ ამის გამო დავთმობდი თავისუფლებას! დამნიშნეს პრეზიდენტად და მერე მომიცილეს რუსებმა. ასე მუშაობენ რუსები. ასე ვერ მოიგებენ ომს უკრაინაში“, – განაცხადა გოცირიძემ. (კვირა.გე)

საკაშვილ-კუბლაშვილის ე.წ. სასამართლო გადაწყვეტილებებმა ჩვენთვის ფარსად, ტაკიმასხრობად აქცია სამართლიანობის პროცესი. როგორი მართალიც არ უნდა იყო, სასამართლო სპექტაკლებში მონაწილეობის შედეგი ისევ უსამართლობა იქნება, აზრს კარგავს ამ ჯამბაზობაში, თუ უარესი არა – აღვირახსნილ, უზნეო, ამორალურ შურისმაძიებელ სპექტაკლებში მონაწილეობა. გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“, პროტესტის ნიშნად, აცილებას აძლევენ სასამართლო ხელისუფლებას და არანაირ მონაწილეობას აღარ მიიღებენ საკაშვილ-კუბლაშვილის უზნეო, უსამართლო ე.წ. სასამართლო პროცესში, სანამ სასამართლო სისტემა არ შეიცვლება და არ გაიწმინდება უზნეო მონა მოსამართლეებისგან, რადგან ახლა აზრი არ აქვს, რა მტკიცებულებებს დადებ და ვის წარადგენ მოწმეებად პროცესზე. „ოცნების“ ხელისუფლება საზოგადოებას დაჰპირდა, რომ არჩევნების შემდეგ დაამთავრებდა „ნაცმოძრაობას“. დაიწყეთ ეს ბოროტების იმ ბუდიდან, რომელსაც „ნაციონალი“ საკაშვილ-კუბლაშვილის სასამართლო ჰქვია.

„ალია“-„ქრონიკა“

# რა დარტყმებისთვის ემზადებიან დამნაშავე რეჟიმის ნარჩენები?



„ალიას“ კითხვებს პასუხობს პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე**:

**— გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის დასკვნა გამოდგება ყველა იმ დასავლელი პოლიტიკოსის საპირწონედ, ვინც საკაშვილის მხარდამჭერ განცხადებებს ავრცელებს?**

– ისეთი რანგის პოლიტიკოსს, როგორიც კარლ ბილდტია, არ შეეფერება მსგავსი განცხადების გაკეთება. ჩვენ ვნახეთ გაეროს ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის დასკვნა, სადაც ისინი ითხოვენ გამჭვირვალე გამოძიების ჩატარებას. გაეროს დადგენილება სწორედ იმ პათოსით არის შედგენილი, რომ დემოკრატიულ ქვეყანაში კანონი და სამართლიანობა უზენაესია. კარლ ბილდტი კი გვეუბნება, რომ თვალი უნდა დავხუჭოთ საკაშვილის და მისი რეჟიმის მიერ ჩადენილ დანაშაულზე, ეს არის იმ პოლიტიკის ტიპური მაგალითი, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ არადემოკრატიულს.

**— კარლ ბილდტის განცხადება საგარეო საქმეთა მინისტრმა შეაფასა როგორც სასამართლოზე ზეწოლა. საკაშვილის უცხოელი მეგობრების მხრიდან ხომ არ ხდება ქვეყნის სუვერენიტეტის შელახვა და ჩვენს შიდა საქმეებში უხეში ჩარევა, თითქოს საქართველო არის არშემდგარი სახელმწიფო და მათდა სამწუხაროდ, ასეთი განცხადებებით ისინი ხალხის პროტესტს ხომ არ მიიღებენ?**

– მთელი ეს პროცესი შეიძლება იყოს აღქმული ცუდად, რადგან იმაზე უარესი არაფერი ხდება, რასაც ჩვენ ვუყურებთ საფრანგეთში, იტალიაში, გნებავთ, ამერიკის შეერთებულ შტატებში, როცა მაღალი რანგის ჩინოსნების მიმართ მართლმსაჯულებას უჩნდება კითხვები. ჩვენ ვხედავთ, რომ ბარაკ ობამას წინააღმდეგ ხმაურიანი პროცესები დაიწყო. ასე რომ, თუკი ჩვენ მეტ-ნაკლებად თანაბარნი ვართ, მათ მოუწევთ, თვალი გაუსწორონ რეალობას. მით უმეტეს, სამართლებრივი უფლებებით ყველა ქვეყანა თანაბარია. აი, სწორედ ამ უფლებას გვირღვევენ ისევე, როგორც ადამიანის უფლებების დარღვევაა დანაშაული და სასაყვედურო, ასევე სასაყვედუროა სამართლიანობის დარღვევა.

როცა არსებობს 27 ათასი ფაილი, სადაც დაფიქსირებულია ადამიანის წამება, არაადამიანური მოპყრობის ფაქტები, არსებობს 7 ნოემბრის ფაქტი დეპუტატის ცემის გამოუძიებელი საქმე, ციხის სკანდალური კადრები, ნუთუ ეს არ არის საკმარისი კორპორაციული ინტერესების ირგვლივ გაერთიანებული დასავლელი ჩინოვნიკებისთვის და გაასამართლებს თუ არა ჰააგის სამხედრო ტრიბუნალი მიხეილ საკაშვილს? ეს კითხვა დღითი დღე აქტუალური ხდება. გამოქვეყნდა გაეროს ადამიანის უფლებების კომიტეტის დასკვნა, სადაც საუბარია წინა ხელისუფლების მიერ ჩადენილ დანაშაულებზე და პირდაპირი მითითებაა, რომ სახელმწიფოს ეს ფაქტები გამოუძიებელი არ უნდა დარჩეს. მეტიც, გაეროს დასკვნაში წერია, რომ საკაშვილის რეჟიმის ქმედებებში კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულების ნიშნები იკვეთება. ამის პარალელურად, კიდევ უფრო გააქტიურდა შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კარლ ბილდტი. ექსპრეზიდენტ საკაშვილის, ბოკერიასა და „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერების მეგობარი აცხადებს: „საქართველოს ხელისუფლება სამართლებრივ სისტემას შურისძიებისთვის იყენებს, ამ პროცესებიდან გამომდინარე, საქართველო ევროპისკენ მიმავალი გზიდან უხვევს“. საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ, როგორც იქნა, ხმა ამოიღო, კარლ ბილდტის განცხადება სასამართლოზე „გარკვეულ ზეწოლად“ შეაფასა; დროა, საგარეო საქმეთა სამინისტრო უფრო მეტად შემტევი გახდეს და საერთაშორისო თანამეგობრობას დაანახოს რეალურად, ვის იცავენ და ვისთან ჰქონდა ხალხს საქმე ამდენი წლის მანძილზე.

მაშ ასე, აღმოვჩნდებით თუ არა იზოლაციაში, რითაც საკაშვილის ზოგიერთი უცხოელი მეგობარი გვემუქრება? მივა თუ არა საკაშვილის საქმე ჰააგის ტრიბუნალამდე და რა დარტყმებისთვის ემზადებიან დამნაშავე რეჟიმის ნარჩენები?



„გაეროს ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის დასკვნა ითხოვს გამჭვირვალე გამოძიების ჩატარებას. გაეროს დადგენილება არის სწორედ იმ პათოსით შედგენილი, რომ დემოკრატიულ ქვეყანაში კანონი და სამართლიანობა არის უზენაესი. კარლ ბილდტი კი გვეუბნება, რომ თვალი უნდა დავხუჭოთ საკაშვილისა და მისი რეჟიმის მიერ ჩადენილ დანაშაულზე“

**„როცა არსებობს 27 ათასი ფაილი, სადაც დაფიქსირებულია ადამიანის წამება, არაადამიანური მოპყრობის ფაქტები, არსებობს 7 ნოემბრის ფაქტი დეპუტატის ცემის გამოუძიებელი საქმე, ციხის სკანდალური კადრები, ნუთუ ეს არ არის საკმარისი დასავლელი ჩინოვნიკებისთვის და დამატებითი არგუმენტი არ არის, რომ ეს ხელისუფლება სამჯერ აირჩია მოსახლეობამ და სწორედ ხალხმა დაუკვეთა სამართლიანად დამნაშავე რეჟიმის გასამართლება?“**

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## 6 წელი რუსეთ-საქართველოს ომიდან — რა იგეგმება 8 აგვისტოს



8 აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომიდან 6 წელი სრულდება. ამ დღესთან დაკავშირებით თბილისში რამდენიმე ღონისძიებაა დაგეგმილი. დილით, 9:00 საათზე მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე რუსული აგრესიის დროს დაღუპულ გმირთა საფლავებს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები გვირგვინით შეამკობენ. მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით კი ამ ღონისძიებაში მონაწილეობას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილიც დაესწრება და გმირთა მემორიალს გვირგვინით შეამკობს. 8 აგვისტოსვე დაღუპული გმირების სულის მოსახსენიებელ პანაშვიდს ვახტანგ გორგასლის სახელობის ტაძარში აღავლენენ, რომელიც ვარკეთილში მდებარეობს. *(პირველი რადიო)*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## მებაჟეებმა იარაღის უკანონო შემოტანის მცდელობა გამოავლინეს



საბაჟო გამშვები პუნქტის, „ვალეს“ მებაჟე-ოფიცრებმა იარაღის უკანონო შემოტანის მცდელობა გამოავლინეს.

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, საბაჟო პროცედურების განხორციელებისას, თურქეთის მხრიდან შემოსული თურქეთის მოქალაქის ჰ.ო.-ის ავტომობილში აღმოაჩინეს არადეკლარირებული პისტოლეტი **SIGSAUER** – 1 ცალი, მჭიდი – 1 ცალი 9 ვაზნით და გაზის პისტოლეტის ვაზნა 39 ცალი.

საქმე შემდგომი რეაგირებისთვის შსს საპატრულო პოლიციის სამცხე-ჯავახეთის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა. *(ინტერპრესნიუსი)*

## მეხის ჩამოვარდნის შედეგად მოზარდები დაშავდნენ



ბეშუმში მეხის ჩამოვარდნის შედეგად სამი გოგონა დაშავდა. როგორც კურორტ ბეშუმის დირექტორმა ვაჟა ზოიძემ განაცხადა, 5 აგვისტოს, დაახლოებით 20:00 საათზე, ძლიერი ჭექა-ქუხილის დროს მეხი ჩამოვარდა:

„ძლიერი ჭექა-ქუხილის დროს ბეშუმში ტრანსფორმატორის მიმდებარედ ჩამოვარდა მეხი, რა დროსაც ტრანსფორმატორთან ახლოს მიმავალი სამი გოგონა დაზიანდა. ერთმა პირველი ხარისხის დამწვრობა მიიღო ხელსა და ფეხზე, ხოლო ორ გოგონას მცირე დაზიანებები აქვს. მათ ამბულატორიაში ჩაუტარდათ შესაბამისი დახმარება და სახლში გაეწერნენ. მეხის ჩამოვარდნის დროს, ასევე, გაითიშა ტრანსფორმატორი“, – აღნიშნა ზოიძემ. მისივე განმარტებით, მოზარდები ხულოს მუნიციპალიტეტის მცხოვრებლები არიან და მათ ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება. *(ინტერპრესნიუსი)*

*მესამე გვერდიდან*

დამატებითი არგუმენტი არ არის საკმარისი, რომ ეს ხელისუფლება სამჯერ აირჩია მოსახლეობამ და სწორედ ხალხმა დაუკვეთა სამართლიანად დამნაშავე რეჟიმის გასამართლება. ეს ფაქტები მიუთითებს იმას, რომ დასავლეთს არა აქვს გასიგრძეგანებული, რას ნიშნავს ჩვენი დემოკრატობა, ისევე როგორც ჩვენ არ გვაქვს გასიგრძეგანებული, რა არის დემოკრატია. მათი განცხადებები სწორედ მათ დემოკრატობას აყენებს ჩრდილს და ახალგაზრდა დემოკრატიულ ქვეყნებში მათი ასეთი ტიპის განცხადებები დემოკრატიის არასწორ გაგებას აჩენს. ეს საერთაშორისო პოლიტიკური განწყობები გადაივლის, ყველაფერი დალაგდება, მაგრამ საქართველოში ეს გააჩენს დასავლეთის დემოკრატიისადმი უნდობლობას. აი, შეხედეთ რის ხარჯზეა რუსული ავტორიტარიზმი ასეთი ძლიერი. იმის ხარჯზე, რომ მოსახლეობას აქვს აზროვნების ის წესი, რომ ავტორიტარული რეჟიმი სჯობია დემოკრატიას. შენ როგორ უნდა დაუმტკიცო რუსეთის მოსახლეობას, რომ დემოკრატია სამართლიანია და ყოველთვის სიმართლის მხარეს დგას. როცა ადამიანები ხედავენ, რომ დასავლეთი წინა ხელისუფლების მიერ ჩადენილ დანაშაულს ამართლებს და მოგვიწოდებს თვალი დავხუჭოთ, ამით ისინი ჩრდილს აყენებენ დასავლეთის დემოკრატიას. თავისივე პოლიტიკას დასავლეთის ლიდერები ცუდ სამსახურს უწევენ გრძელვადიან პერსპექტივაში.

**— ასეთი ტიპის განცხადებები ხომ არ გამოიწვევს მართლაც საქართველოს იზოლაციას?**

– სამწუხაროდ, საქართველოს იზოლაცია თუ არაიზოლაცია, ამ ფაქტორებზე დამოკიდებული არ არის. იცით, სამწუხაროდ რატომ ვთქვი? ჩვენ პირველი უმძიმესი შეჯახება რუსეთთან 2008 წელს არ გვქონია. გვქონდა გაცილებით ადრე, 90-იან წლებში, აფხაზეთის და ოსეთის თემებზე. თუ დღეს რუსეთი უკრაინის სეპარატისტებს იარაღს აწვდის, აფხაზეთის სეპარატისტებსაც აწვდიდა თავის დროზე. ამის კადრები ჩვენ ძალიან კარგად გვახსოვს. მაგრამ არც ერთ დასავლურ სახელმწიფოს რეაქცია არ გაუკეთებია. მაშინ რომ რეაქცია არ გააკეთა დასავლეთმა, ეს იყო წინაპირობა იმისა, რაც დღეს უკრაინაში ხდება. ჩვენ რეალურად მაშინ ვიყავით იზოლაციაში, ჩვენ აღმოვჩნდით რუსული აგრესიის მსხვერპლი დემოკრატიის და თავისუფლების გამო და მაინც იზოლაციაში ვიყავით. ამ იზოლაციიდან გამოგვიყვანა მხოლოდ ნავთობსადენმა, ანუ ნდობის ინტერესმა, რომ შეიძლება საქართველო აღმოჩენილიყო კარგი სატრანზიტო ხაზი. ასე რომ, ჩვენი იზოლაცია თუ არაიზოლაცია, უფრო პრაგმატიზმზეა დამოკიდებული, ვიდრე ჩვენს პოლიტიკაზე.

**— როგორ ფიქრობთ, რა საფასური გადაუხადეს „ნაციონალებმა“ კარლ ბილდტს და ზოგიერთ წამყვან დასავლელ პოლიტიკოსს, რის გამოც ისინი ასე თავგანწირვით იცავენ?**

– თუ ფინანსებზეა ლაპარაკი, ზუსტი ციფრი არ ვიცი, მაგრამ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რა გულუხვი იყო სააკაშვილი და „ნაცმოძრაობა“ ლობისტებთან, ლობიზმი ძალიან ფართე ცნებაა, შეიძლება ამან პოლიტიკოსებიც მოიცვას. როგორც ჩანს, „ნაციონალებს“ პოლიტიკოსებისთვის დიდი თანხის გადახდა არ ენანებოდათ, მით უმეტეს ეს თავიანთი ფინანსები არ იყო, ეს იყო ხალხის ჯიბეებიდან ამოღებული ფული. რაც შეეხება პოლიტიკურ ფასს, ეს იყო ანტირუსული რიტორიკა, დასავლეთის გარკვეულ პოლიტიკურ ნაწილს სააკაშვილის ანტირუსული რიტორიკა აწყობდა. სააკაშვილი დასავლეთს ისეთ პოლიტიკურ ფონს უქმნიდა, რომელიც მათ სჭირდებოდათ. რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციის პირობებში დასავლეთი მიხვდა, რომ ხელისუფლებაში ვერ გამოძებნიდა ფიგურას, რომელიც იქნებოდა ასეთი აგრესიული ანტირუსული რიტორიკის მატარებელი, ამიტომაც სააკაშვილის მეგობარი პოლიტიკოსებისგან ჩვენ ვისმენთ ასეთ განცხადებებს.

**— შეიძლება სააკაშვილის შემდეგ დადგეს გიგა ბოკერიას პასუხისმგებლობის საკითხი? როცა ის უშიშროების საბჭოს მდივანი იყო და გაედინებოდა მილიონობით ფული ლობისტების დასაფინანსებლად. არ არსებობს დამადასტურებელი დოკუმენტი, რაში იხარჯებოდა ფული. ამის შესახებ თავის დროზე ივანიშვილმაც ისაუბრა. თუკი დაიდება დამადასტურებელი დოკუმენტები, რომ ეს ფული „ნაციონალური მოძრაობის“ მეგობარ პოლიტიკოსებს ხმარდებოდა დასავლეთში, რა მოხდება შემდეგ? თქვენ გაქვთ მოლოდინი, რომ სააკაშვილის შემდეგ განსასჯელის სკამზე გიგა ბოკერია აღმოჩნდება?**

– დასავლეთმა რომც დაინახოს, რასთან გვქონდა საქმე და გარწმუნებთ ყველაფერი კარგად აქვს შესწავლილი, რეაქცია არ ექნებათ, ვიდრე ეს მათ არ დასჭირდებათ. თუ არ შეეხო ეს დანაშაულები ისეთ თემებს, რაც მათთვისაა მნიშვნელოვანი, ის დანაშაულები დასავლეთისთვის არ იარსებებს. დასავლეთშიც ისეთივე ადამიანები არიან, როგორც აღმოსავლეთში. აი, დავუკვირდეთ როგორ ვიქცევით ჩვენ უკრაინასთან მიმართებაში, რომელიც ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მეგობარია. იქ მიმდინარე პროცესებს ვერ მივეცით თავისუფლად ის შეფასება და ვერ გავაკეთეთ ის რეაქცია, რაც ჩვენ გვსურდა, რადგან ჩვენივე პრობლემატიკას გავუწიეთ ანგარიში, დასავლეთიც ანალოგიურად ხელმძღვანელობს თავისი პრობლემატიკით. ვიდრე მათ არ შეექმნებათ საფრთხე, ჩვენ ისინი არ დაგვიცავენ. დასავლეთს რეაქცია ექნება მაინც იმ თემატიკიდან გამომდინარე, რაც მისთვის აქტუალურია. ეს არის რუსეთის გავლენის გაფართოება დასავლეთის მიმართულებით, ჩვენ კარგად დავინახეთ, რომ აგვისტოს ომის დროს დასავლეთს სხვა რეაქცია ჰქონდა, ხოლო უკრაინასთან მიმართებაში – სხვა, უკრაინა სწორედ დასავლეთის მიმართულებაა და ამიტომ გააქტიურდნენ მის დასაცავად, შემდეგი არის საერთაშორისო ტერორიზმთან კავშირი, იარაღით უკანონო ვაჭრობა და ის სამხედრო დანაშაულები, რომელზეც დასავლეთს აქვს მწვავე რეაქცია. ამიტომ გაეროს ადამიანის უფლებების კომიტეტის დასკვნა გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, რა განცხადებას გააკეთებს ზოგიერთი პოლიტიკოსი დასავლეთიდან, შეიძლება ამ დასკვნის საფუძველზე ჰააგის ტრიბუნალზე აღმოჩნდეს მიხეილ სააკაშვილი.

**— როგორ ფიქრობთ, სააკაშვილს დაიჭერენ?**

– არ ვიცი, ძალიან ბევრი ფაქტორი უნდა მომწიფდეს, მილოშევიჩი რომ დააპატიმრეს, იქ მხოლოდ მისი დანაშაულები კი არ იყო, ბევრი სხვა ფაქტორი დაგროვდა, რამაც ხელი შეუწყო ამ დანაშაულის აღქმას მათთვის, ვისაც ეს უნდა აღექვა.

**— არის ინფორმაცია, რომ პანიკაში ჩავარდნილი სააკაშვილი წავა ყველა პროვოკაციაზე, მისი მხრიდან იყო არასახელმწიფოებრივი განცხადება, რომ საქართველოში ანტიალიევური ცენტრი იქმნება. ხომ არ ცდილობს სააკაშვილი აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის დაძაბოს ვითარება? არის საშიშროება, რომ აფეთქდეს სამცხე-ჯავახეთი და მარნეული, რომლის უკანაც დგას სააკაშვილის ინტერესი.**

– აბსოლუტურად შესაძლებელია, სააკაშვილის განცხადება ანტიალიევური ცენტრის შესახებ ძალიან საყურადღებოა, ამ თემის ტრიალი უკვე დაიწყეს „ნაცმოძრაობის“ სხვა წევრებმა, სავარაუდოდ, მათ ფსონი აქვთ ამ თემაზე დადებული, რასაც ჰქვია რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების დაპირისპირება. საქართველოში ანტიაზერბაიჯანული თემის დატრიალება „ნაციონალებისთვის“ ხელსაყრელია. აზერბაიჯანი ნამდვილად არის დასავლეთის ინტერესის საგანი. საქართველოს აზერბაიჯანთან დაპირისპირება, ეს იქნება შეფასებული და აღქმული ანტიდასავლურ ნაბიჯად. აი, ამ კუთხით ცდილობენ „ნაციონალები“ სიტუაციის დაძაბვას, გასარკვევია, რატომ შემოჰქონდათ „ნაციონალებს“ აზერბაიჯანიდან ის თანხა, რომელიც საზღვარზე გაჩერდა. საინტერესოა, თვითონ აზერბაიჯანში რა დასაყრდენი აქვს „ნაციონალურ მოძრაობას“, გასარკვევია ბაქოს სტადიონზე „ჩიხურას“ თამაშის დროს ვინ გადმოფინა ის რუკა, რომელიც 1998 წელსაც არც ერთ ქართველს არ მოუვიდოდა აზრად, რომ გადმოეფინა, ამ რუკაზე შემოხაზულია კახი და ზაქათალა, თითქოს ეს ჩვენი ტერიტორიაა... რაღაცა პროცესები ხდება, ეს ფაქტია, ხდება არა თავისით, არამედ ამ ცუდი პროცესების უკან ვიღაც დგას. აუცილებლად გამოსაძიებელია ეს პროვოკაციები ხდება ვინმეს დავალებით, თუ თვითინიციატივით. ეს ყველაფერი უნდა იყოს გამოძიებული, რომ მოულოდნელი და ძალიან ცუდი სიურპრიზების წინაშე არ დადგეს ქართული ხელისუფლება.

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



„სააკაშვილის განცხადება ანტიალიევური ცენტრის შესახებ ძალიან საყურადღებოა, ამ თემის ტრიალი უკვე დაიწყეს „ნაცმოძრაობის“ სხვა წევრებმა, სავარაუდოდ, მათ ფსონი აქვთ ამ თემაზე დადებული, რასაც ჰქვია რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების დაპირისპირება. საქართველოში ანტიაზერბაიჯანული თემის დატრიალება „ნაციონალებისთვის“ ხელსაყრელია“

**„დავუკვირდეთ, როგორ ვიქცევით ჩვენ უკრაინასთან მიმართებაში, რომელიც ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მეგობარია. იქ მიმდინარე პროცესებს ვერ მივეცით თავისუფლად ის შეფასება და ვერ გავაკეთეთ ის რეაქცია, რაც ჩვენ გვსურდა, რადგან ჩვენივე პრობლემატიკას გავუწიეთ ანგარიში, დასავლეთიც ანალოგიურად ხელმძღვანელობს თავისი პრობლემატიკით. ვიდრე მათ არ შეექმნებათ საფრთხე, ჩვენ ისინი არ დაგვიცავენ“**

„როგორც ჩანს, „ნაციონალებს“ პოლიტიკოსებზე დიდი თანხის გადახდა არ ენანებოდათ, მით უმეტეს ეს თავიანთი ფინანსები არ იყო, ეს იყო ხალხის ჯიბეებიდან ამოღებული ფული. რაც შეეხება პოლიტიკურ ფასს, ეს იყო ანტირუსული რიტორიკა, დასავლეთის გარკვეულ პოლიტიკურ ნაწილს სააკაშვილის ანტირუსული რიტორიკა აწყობდა. სააკაშვილი დასავლეთს ისეთ პოლიტიკურ ფონს უქმნიდა, რომელიც მათ სჭირდებოდათ“

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ოლიმპიური ფესტივალისთვის საქართველოს 4 ათასამდე სპორტსმენი ეწვევა



სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის, ლევან ყიფიანის განცხადებით:

„მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ ვუმასპინძლებთ ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს. ჩამოდის 4 ათასამდე სპორტსმენი და 10 ათასამდე გულშემატკივარი, რაც დამატებითი შემოსავალია ქვეყნისთვის. ჩვენ მზად უნდა ვიყოთ საერთაშორისო შეჯიბრებების მასპინძლობისთვის“.

თბილისის მერის, დავით ნარმანიას განცხადებით კი, ტერიტორიაზე, სადაც ამჟამად მშენებლობა მიმდინარეობს, წლების განმავლობაში იყო სამშენებლო ნაგავსაყრელი. „ახლა თანამედროვე ტურისტული ინფრასტრუქტურა კეთდება და ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობა ხდება. გარდა იმისა, რომ ჩვენ, თბილისის მერია, წელს ვმონაწილეობთ ამ პროექტის განხორციელებაში და 15 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება, მომდევნო წლისთვის, იმისთვის, რომ პროექტი მთლიანად დასრულდეს, ასევე 20 მილიონი ლარი იქნება თბილისის ბიუჯეტში გათვალისწინებული. გვექნება თანამედროვე ინფრასტრუქტურა დედაქალაქში, რომელიც მხოლოდ 2015 წლისთვის არ არის გათვლილი. აქ შემდგომ წლებშიც ჩატარდება ძალიან სერიოზული ევროპული და საერთაშორისო ტიპის ღონისძიებები და ქალაქი მიიღებს შემოსავლებს, დასაქმდებიან ადამიანები. ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო პროექტია“. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „შესაძლოა, პროექტები დროებით შეჩერდეს“



თბილისის საკრებულო დედაქალაქისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის უკვე გახარჯული თანხების რევიზიას იწყებს. დედაქალაქის ფინანსური მდგომარეობის შემსწავლელი სპეციალური ჯგუფი მუშაობას უკვე შეუდგა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი აღნიშნულ ფაქტს ეხმაურება და აცხადებს, რომ მიმდინარე წლის ბიუჯეტის დიდი ნაწილი უკვე გახარჯულია, რის გამოც შესაძლოა, დაგეგმილი პროექტები დროებით შეჩერდეს.

ალიბეგაშვილის თქმით, ფინანსური კუთხით განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობა ვაკისა და საბურთალოს გამგეობებშია, სადაც გამოყოფილი თანხის 80% გახარჯულია.

„სავალალო მდგომარეობაა ცალკეული გამგეობების მიხედვით. განსაკუთრებით შეიძლება ვაკის დასახელება, საბურთალოსი, აი, ეს უბნები. სხვებიც, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვაგან უკეთესი მდგომარეობაა. არის გამგეობა, სადაც, ვთქვათ, 80-82%-იც კი არის გახარჯული და ფაქტობრივად, ოთხი თვისთვის დარჩენილია, სულ რაღაც, 20%. დაწყებულია უკვე, მაგრამ იმ კვირიდან ძალიან ინტენსიურად დაიწყება ამის კვლევა“. – განაცხადა ალიბეგაშვილმა. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საქართველოს მოქალაქეებს დასავლეთ აფრიკაში წასვლას არ ურჩევენ




დასავლეთ აფრიკის რეგიონში, ებოლას ვირუსის სწრაფი გავრცელების გამო, ეთიოპიაში საქართველოს ელჩი, ვახტანგ ჯაოშვილი მოსახლეობას გარკვეული სიფრთხილისკენ მოუწოდებს. ჯაოშვილის განცხადებით, უმჯობესია, მოსახლეობამ სიერა-ლეონეში, გვინეასა და ნიგერიაში ვიზიტისგან თავი შეიკავოს.

„ებოლას ვირუსი ძალიან სწრაფად ვრცელდება დასავლეთ აფრიკის რეგიონში, განსაკუთრებით სიერა-ლეონეში, გვინეასა და ნიგერიაში. უკვე დაღუპულია 700-მდე ადამიანი. სამწუხაროდ, დაავადებულთა 90%-ში მკურნალობა არაეფექტურია. გამოცხადდა კარანტინი და ზოგიერთმა სკოლამ სწავლაც შეწყვიტა. ჩვენს მოქალაქეებს მოვუწოდებ, განსაკუთრებული საჭიროების გარდა, ამ ქვეყნებს არ ეწვიონ“. – განაცხადა ჯაოშვილმა. (რეპორტიორი)

## ჭიათურის მაღაროში მამაკაცი გარდაიცვალა



6 აგვისტოს გამთენიისას ჭიათურის მაღაროში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად შუახნის მამაკაცი გარდაიცვალა. მიზეზი დენის დარტყმა გახდა, თუმცა უბედური შემთხვევის ზუსტი დეტალები ამ დროისთვის უცნობია.

შემთხვევის ადგილზე დილიდან სამართალდამცველები და კრიმინალისტები იმყოფებოდნენ.

შს სამინისტროს ინფორმაციით, ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევას გულისხმობს. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „სააკაშვილს ბევრად უფრო მძიმე ბრალდება უნდა წაყენებოდა“



„მწვანეთა პარტიის“ ლიდერი, გიორგი გაჩეჩილაძე თვლის, რომ ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ბევრად უფრო მძიმე ბრალდება უნდა წაყენებოდა.

„ძალიან ბევრი საკითხი არსებობს, რომლებიც სახელმწიფო დანაშაულს უკავშირდება. ჩვენს 2009 წლის პრესკონფერენციას გაგახსენებთ, რომელიც ავღანურ ჰეროინს უკავშირდებოდა.

ის პრესკონფერენცია ჩვენი სიცოცხლის რისკის ფასად ჩავატარეთ. მაშინ ჩვენ მასალები ღიად გამოვიტანეთ, სადაც ნაჩვენები იყო, რომ საქართველო ავღანური ჰეროინის ტრასად იყო ქცეული. ფოთის პორტიდან გადიოდა 7 ტონა ჰეროინი ევროპის მიმართულებით, საქართველოში კი რეალიზდებოდა 2 ტონა. ეს იყო საქართველოს, მთლიანად ევროკავშირის მიმართ ჩადენილი დანაშაული“. – განაცხადა გაჩეჩილაძემ. (რეპორტიორი)

## „გალფი“ საგანგებო სიტუაციების სამსახურის უფროსს მადლობას უხდის

კომპანია „გალფი“ საგანგებო სიტუაციების სამსახურის უფროსს თემურ გიორგაძეს მადლობას უხდის.

„გამოვხატავ გულწრფელ მადლიერებას, თქვენსა და ყველა თქვენი თანამშრომლის მიმართ იმ დახმარებისთვის, რომელიც გაუწიეთ „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ 29 ივლისს წყალსადენის ქუჩაზე მდებარე ნავთობბაზაზე მომხდარი ხანძრის დროს. ხანძრის გაჩენიდან რამდენიმე წუთში ადგილზე მოვიდა სახანძრო-სამაშველო სამსახური, მათ მოახერხეს დიდი მასშტაბის მქონე ხანძრის სრულად ლიკვიდირება. ეს ყველაფერი შეუძლებელი იქნებოდა თქვენი მხრიდან აქტიურობისა და მხარდაჭერის გარეშე. დიდ მადლობას მოვახსენებთ ქ. თბილისის მერიასა და მის დაქვემდებარებაში მყოფ საგანგებო სიტუაციების სამსახურის თითოეულ თანამშრომელს გაწეული დახმარებისთვის. ჩვენთვის უპირველესი და ყველაზე მთავარია, რომ ხანძარს არ მოჰყოლია მსხვერპლი. თქვენ და თქვენს თანამშრომლებს გისურვებთ წარმატებებს პროფესიულ საქმიანობაში. გისურვებთ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას! კომპანია „გალფი“, თავის მხრივ, მუდამ გვერდში ედგება თქვენს სამსახურს“, – აღნიშნულია „გალფის“ სამადლობელ წერილში.

## ლიბერთი ბანკი UnionPay International ბარათების გამოშვებას იწყებს

კიდევ ერთი სიახლე ლიბერთი ბანკისგან – 2014 წლის 7 აგვისტოდან მომხმარებელს შეუძლია, ისარგებლოს ახალი ტიპის **UnionPay International (UPI)** ბარათით.

**UnionPay International** ჩინური კომპანიაა, რომელიც მსოფლიო მასშტაბით უკვე 400-ზე მეტ ფინანსურ ინსტიტუტთან თანამშრომლობს ბარათების გამოშვებისა და გადახდების მიღების კუთხით, ხოლო ბარათით განხორციელებული ოპერაციების მოცულობის მიხედვით, მსოფლიოში სიდიდით მეორე ადგილზეა. **UnionPay International** ბარათების გამოყენება შესაძლებელია 30-ზე მეტი ქვეყნის 20 მილიონზე მეტ სავაჭრო და მომსახურების ობიექტში.

ლიბერთი ბანკი პირველია საქართველოს ბაზარზე, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს მომსახურების სრულ სპექტრს – შესაძლებელია სასურველი **UnionPay International** ბარათის შეკვეთა და მისი გამოყენება ლიბერთი ბანკის პარტნიორ 1,900-ზე მეტ სავაჭრო და მომსახურების ობიექტში საქართველოში. ასევე, მომხმარებელს აქვს საშუალება, მიიღოს მომენტალური ფასდაკლებები **Cheap.ge**-ს პარტნიორ ობიექტებში **UnionPay International** ბარათით გადახდის დროს. **S**მარტივი **UnionPay International** ბარათით გადახდა და თანხის განაღდება უახლოეს მომავალში ასევე შესაძლებელი იქნება თიბისი ბანკის პოს ტერმინალებსა და ბანკომატების გამოყენებით, რადგან **UPI**-თან ერთად, ბარათი ასევე წარმოადგენს ლიბერთი ბანკის **PAY** სისტემის ბარათს, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია ლიბერთი ბანკის პარტნიორი ბანკების არხებში.

**S**მარტივი **UnionPay International** ბარათით მომხმარებელს შეუძლია შეღავათიანი ტარიფებით დაფაროს კომუნალური და სხვა გადასახადები. ამისთვის საკმარისია **S**მარტივი **UnionPay International** ბარათის აქტივაცია **www.smartivi.ge** ვებგვერდზე, სადაც ასევე შესაძლებელია კალათის შექმნა და კომუნალური და სხვა გადასახადების შეღავათიანი ტარიფით გადახდა. **S**მარტივი **UnionPay International** ბარათი მოსახერხებელია მათთვის, ვინც მოგზაურობს მსოფლიოს გარშემო. ბარათი მულტი სავალუტოა და მომხმარებელს საშუალება აქვს, აირჩიოს პრიორიტეტული ვალუტა. გარდა ამისა, ნაღდი ფულის საჭიროების შემთხვევაში, ბარათის გამოყენებით შესაძლებელია თანხის განაღდება მაღალი ლიმიტით – განაღდებაზე მოქმედებს სხვა საერთაშორისო ბარათებთან შედარებით დაბალი საკომისიო.

**UPI** ბარათის აღებისას მომხმარებელი ავტომატურად ხდება ლიბერთი კლუბის წევრი და ბარათით ანგარიშსწორების გარდა, ქულებს აგროვებს სხვა საბანკო ოპერაციების განხორციელების დროსაც. ვებგვერდ **www.LBClub.ge**-ზე რეგისტრაციის გავლის შემდეგ მომხმარებელს შეუძლია, გაანაღდოს ქულები და მიიღოს ნაღდი ფული, შეავსოს მობილურის სასაუბრო დრო ან დაფაროს კომუნალური და სხვა გადასახადები.



# რა გეგმებს აწყობენ „ნაციონალები“ სააკაშვილის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკაში?



ბოჭორიშვილის ქუჩა, სააკაძის დაღმართი №10. მიხეილ სააკაშვილის ე.წ. ბიბლიოთეკა, სინამდვილეში – კრაზანების („ნაციონალების“) ახალი ბუდე. ეს უბანი დღე და ღამე ძვირადღირებული ავტომობილებითაა გადაჭედილი. არის მისვლა-მოსვლა, ფუთფუთი და რიარია. როგორც ბოჭორიშვილის ქუჩაზე მცხოვრები ნანა თომაშვილი ამბობს, მეზობლები უკვე ძალიან ცუდ დღეში არიან, ალბათ, მალე თოხებითა და ფიწლებით გამოვლენ მიხეილ სააკაშვილის ბიბლიოთეკასთან:

„მოკლედ, ბიბლიოთეკაში დიდი ამბებია, ყოველდღე ტელევიზიები ჰყავთ. გაივლის უზარმაზარი მანქანა, ხან ტელეფონის ხაზებია გაწყვეტილი, ხან გაზის მილია გახეთქილი. შიგნით უცხო პირებს არ უშვებენ, საიდუმლო ბიბლიოთეკაა. ჯაკუზები ტყუილად ხომ არ დააყენეს? თვითონვე გრილდებიან. ანდრო ბარნოვი სულ აქაა, მიშამ ეგ დატოვა უფროსად. სამი დღის წინ მაღალი მანქანით რაღაცები მოათრიეს და გაზის მილი გაგლიჯეს. ქალბატონი გიული ალასანია გადააჯდა ჩვენს ტერიტორიას, გზა ჩაგვიკეტა. უკვე ამოვიდა ყელში, მას შეუძლია, მეორე გზა გაუხსნას ქვემოდან თავისი დებილი შვილის ბიბლიოთეკას. პატრულიც იყო მოსული, გააფრთხილეს, მაგრამ ამათ რამეს გააგებინებ? ველურებივით იქცევიან.

პატრული რატომ? ადრე შემოიყვანეს მანქანა, ისიც საკმაოდ მაღალი, ვითომ მერხები მოიტანეს, იმან ტელეფონის ხაზები ჩაწყვიტა. კვირას რაღაც ღონისძიება ჰქონდათ, ღამის 12 საათამდე იგრიალეს. ეს ბიბლიოთეკა კი არა, „ნაციონალების“ საბუდარია. გახსნის დროს წვიმა ჩამოვიდა და პამპერსები შეტენეს სადღაც ჭერში, ისე შეაჩერეს, დროებით. გვაწუხებენ ძალიან, როცა დიდი მანქანა შემოდის, აუცილებლად რაღაც ზიანდება. უბანი მანქანებით არის სავსე. თუ გიული გზას გახსნის, დავისვენებთ. მიშას ბიბლიოთეკას ქვემოდან აქვს ავტოსადგომი, მაგრამ არ იყენებენ, ზემოდან ურჩევნიათ. ერთი ოჯახია ისე მოქცეული, მანქანით ვერ შედის, ორივე მხრიდან ჩაკეტა გიულიმ. ამას წინათ ბავშვი გაუხდათ ცუდად და სასწრაფომდე ხელით გაიყვანეს, ექიმები სახლამდე ვერ მივიდნენ. ხანძარი რომ გაჩნდეს უბანში, მანქანა ვერ შემოვა. არადა, ის გზა ჩვენი იყო. დავით ზურაბიშვილიც დაგვპირდა წინასაარჩევნოდ, მაგრამ ჯერ არაფერი. მერე, ძალიან სწრაფად შემოდიან უბანში მანქანებით, ბავშვები გვყავს და გვეშინია. მეზობლები ჩივიან ამ ჩაკეტილი გზის გამო, მაგრამ ჩვენი საშველი არ ჩანს“.



ეს გზა დაუტოვა მიშამ ხალხს

მიშას „მეზობლები“ აცხადებენ, რომ ეს ბიბლიოთეკა კი არა, მართლა კრაზანების ბუდეა, სადაც „ნაციონალები“ მიდი-მოდიან და რაღაც გეგმებს აწყობენ. ქვეყნის სასიკეთოდ რომ არაფერს გააკეთებენ, ცხადია. თუ რომელიმე მეზობელი გაბედავს და რამეს იკითხავს, ვიღაც უცნობი, ანუ უსახური ტიპი გამოდის და ზრდილობიანი ტონით ამბობს: მე არაფერი ვიცი, პასუხს ვერ გაგცემთ, აქ კლიპებს იღებენო. ბოჭორიშვილის ქუჩაზე მაცხოვრებლები მიმართავენ თბილისის ახალ მერს, დავით ნარმანიას: „დედაქალაქის შესაბამისმა უწყებებმა გაარკვიონ, რა უფლებით კეტავს გზას გიული ალასანია და რა ხდება საერთოდ სააკაშვილის ბიბლიოთეკაში? რატომ იმხობენ თავზე მთელ უბანს „ნაციონალები“ ისე, რომ ადამიანები უკვე ბავშვებსაც ველარ უშვებენ ქუჩაში სათამაშოდ? სანამ ბოჭორიშვილის ქუჩაზე ტრაგედია არ დატრიალდება, პოლიციამ მანამდე არ უნდა მიიღოს არავითარი ზომები? რასაც გაქსუებული მიხეილ სააკაშვილი აკეთებს ე.წ. ბიბლიოთეკის შირმით, არის თუ არა ეს ადამიანების უფლებების დარღვევა?“ ამ კითხვებზე დავით ნარმანიამ უნდა გასცეს პასუხი და მეტიც, იქნებ მიბრძანდეს ბოჭორიშვილის ქუჩაზე და თავად გაარკვიოს, რა უბედურ დღეში არიან ადგილობრივი მაცხოვრებლები?

**თუ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას ისურვებს, „ალია“ მათაც მოუსმენს.**

კიდევ ერთი ამბავი, როგორც ამბობენ, ბიძინა ივანიშვილს ამ დღეებში ურეკში გრანდიოზული სასტუმროს მშენებლობა დაუწყია. ნოემბერში საკონცერტო დარბაზის მშენებლობას დაასრულებს და მერე სტუმრები რომ ჩამოვლენ, მომღერლები, დაბინავებაც ხომ უნდათ? ბიძინა ივანიშვილის მეზობლების თქმით (მოკლედ, ამ მეზობლების შიშით ველარც ექსპრემიერს გაუკეთებია რამე), როცა სასტუმროს პროექტს ადგენდა რამდენიმე ხის მოჭრა გამხდარა საჭირო, მაგრამ ივანიშვილს თავი გაუგიჟებია, ამას ვერ ვიზამ, ამხელა ხეებს ვერ მოვჭრიო. ბოლოს იმდენი უქნია, იმდენი უწვალებია არქიტექტორები, მაინც ჩაუსვამს პროექტი ამ ხეებში. აი, რას ამბობს ერთ-ერთი მისი ურეკელი მეზობელი:

– მაგი ხეების მოჭრის ალერგიულია, ვერ იტანს.

**— ყოჩაღ, ეგრეც ვიცოდი, რომ ხეებს არ მოჭრიდა. ისე, თბილისის ბოტანიკურ ბაღში მაგისმა შვილმა ბერამ რომ მოჭრა ხეები, მაშინ რატომ არ იყო ალერგიული?**

– როგორც აწყობს, ისე აკეთებს, მისი არაა ეს ქვეყანა?

**— როგორ ხასიათზეა?**

– რა ვიცი... პერიოდულად „ციცინათელაში“ დადის, საღამოობით. კარგ ხასიათზეა. ეგ „ციცინათელაც“ მაგისია, კარუსელები და რაღაცები აქვს მოწყობილი, დასასვენებელი პარკია. მიშამ ხუთჯერ მაინც წაართვა, მაგრამ ბოლოს მაინც დაიბრუნა.

**— და იქ რას აკეთებს, კარუსელებზე კატაობს?**

– საღამოობით „აბირჟავებს“.

**— კაი, კაცო, ვისთან „აბირჟავებს“?**

– კიი, თავის „სასტავთან“ ერთად... პატრული შეაცილებს ხოლმე და როცა მორჩება დაბირჟავებას, მერე ისევ გამოაცილებს. ცოლშვილთან ერთად დადის. მანდ ადიკოს ბიჭი ემზარია შეფი, „ციცინათელა“ მაგას აბარია.

**— აკი ივანიშვილი ამბობდა, ჩემი ძმისშვილი კაი ბიჭია, მაგრამ იმდენად წაუშტერებს, ვერც ერთი საქმე ვერ ჩავაბარეო?**

– რა ვიცი... ეტყობა, პარკის შეფობას დიდი ტვინი არ სჭირდება. ისე, ძალიან ბევრი ხალხი ჩამოდის, ვინც ზღვაზეა ჩამოსული, საღამოს ყველა „ციცინათელაში“ შედის. ტურისტებიც არიან საკმაოდ. ივანიშვილს ხან პლაჟზეც ხედავენ ხოლმე.

**— საბანაოდ დადის?**

– არა, ისე დასეირნობს ხოლმე, საზაფხულო ფორმით, შორტებით და რამე. ვიღაც თანამდებობის პირებიც ჩამოდიან ხოლმე სტუმრად, ახლა გვარებს ვერ ვიტყვი. ადრე უფრო ხშირად დადიოდნენ, ახლა ცოტა მოუკლეს. ეტყობა, დასვენების სეზონი რომაა, ამიტომ.

**გელა ზედელაშვილი**

555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

## „თქვენ ხართ სიმბოლო უსირცხვილო და უნამუსო მოსამართლის“



თბილისის საქალაქო სასამართლოში ვანო მერაბიშვილსა და მოსამართლეს შორის სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა. მერაბიშვილმა მოსამართლის აცილება მოითხოვა და მას „უსირცხვილო და უნამუსო“ უწოდა.

მისი განმარტებით, მოსამართლე ობიექტური ვერ იქნება, რადგან გიგი უგულავასთვის აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობის შეფარდების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო.

„ბატონო მოსამართლევ, მინდა აცილება მოგცეთ, რადგან თქვენ ხართ სიმბოლო უსირცხვილო და უნამუსო მოსამართლის. საქართველოში ასეთი უნამუსო გადაწყვეტილება არასდროს არავის არ მიუღია“, – განაცხადა მერაბიშვილმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## დათა ახალაიას ექსტრადირების საკითხი 6 ოქტომბერს გადაწყდება



კუდ-ის ყოფილი ხელმძღვანელის დათა ახალაიას საბერძნეთიდან ექსტრადირების საკითხი 6 ოქტომბერს გადაწყდება.

დათა ახალაია რამდენიმე თვის წინ საბერძნეთში დააკავეს. ის საბერძნეთიდან იტალიაში ყალბი საბუთებით გადასვლას ცდილობდა. ახალაიას გირაოს სახით 100 ათასი ევროს გადახდა დაეკისრა და თანხის გადახდის შემდეგ, გაათავისუფლეს.

საქართველოში დათა ახალაიას წინააღმდეგ სისხლის სამართლის რამდენიმე საქმეა აღძრული. (ნიუპოსტი)



## ხადური მზად არის დედაქალაქის ბიუჯეტის შესწავლაში ჩაერთოს

ფინანსთა მინისტრი მზად არის, დედაქალაქის ბიუჯეტში არსებული გარღვევების შესწავლაში ჩაერთოს.

„თბილისის ბიუჯეტი დამოუკიდებელია, მას თბილისის საკრებულო ამტკიცებს და ქალაქის მერია განკარგავს. მაგრამ ჩვენ მზად ვართ, ჩავერთოთ პრობლემის შესწავლაში და მოვძებნოთ გამოსავალი“, – განაცხადა ხადურმა. (ნიუპოსტი)

„ალიას“ ავჭალის წმინდა ქეთევან წამებულის სახელობის ეკლესიის მოძღვარი, მამა **გიორგი რაზმაძე** ესაუბრა:

**— მამა გიორგი, თქვენ რომ დააანონსეთ, 14 აგვისტოს ანაკლიაში „კაზანტიპის“ აკრძალვის მოთხოვნით აქციის ჩატარებას ვაპირებთო, ამის შემდეგ, ადგილობრივი მოსახლეობა გამოვიდა, კრედიტები გამოვიტანეთ ბანკიდან, „კაზანტიპი“ უნდა ჩატარდეს, თორემ სესხს ვერ დავფარავთო. ასეთ ვითარებაში როგორ აპირებთ ფესტივალის ჩაშლას?**

– რა შეფასება უნდა მისცე ამ ამბავს საღად მოაზროვნე ადამიანმა? ესენი არიან ის ადამიანები, რომელთაც, ალბათ, გონებრივი გაჭირვება აქვთ, ან კიდევ ვერ ხვდებიან, ვის შეკვეთას ასრულებენ. მე ვფიქრობ, გარკვეული წრეები, რომლებიც ამ ხალხს მართავენ, ბრბოა, არ მეშინია ამ სიტყვის თქმის, რადგან ვინც ამ თემაზე საუბრობს ამ ფორმით, არის ბრბო, რომელსაც ელემენტარული აზროვნების უნარი არ აქვს. რა კრედიტი აქვთ აღებული, ძალიან საინტერესოა, ან ვინ მისცა მათ კრედიტი „კაზანტიპისთვის“, ეს ხომ სასაცილო თემაა?

**— კრედიტი იმისთვის აუღიათ, რომ სახლები გაარემონტონ და ტურისტებისთვის მოამზადონ.**

– ესე იგი, საროსკიპოებს ხსნიან? და რა გამოდის, რომ მთავრობა და ბანკები ხალხს საროსკიპოების გასახსნელად ფულს უხდის? მე ვფიქრობ, ამ ქვეყანაში სუტენიორობა და პროსტიტუცია ისჯება, არც ამისთანა სახლებია დაშვებული კანონით. ამიტომ მთავრობამ ყურადღება უნდა გაამახვილოს ამაზე, კი არ უნდა მიუშვას დინებაზე. ხალხს კრედიტი კი არ უნდა მისცეს, ჭკუა უნდა ასწავლოს და აუხსნას, რომ ასეთი დანაშაული დასჯადი ქმედებაა და ვინც ასეთ საროსკიპოებს ხსნის, მისი ადგილი არც ანაკლიაშია, არც ზუგდიდშია და ციხეში კი ნამდვილადაა. სასულიერო პირის პოზიცია თუ უნდათ, შეგონებისთვის ერთ რამეს ვეტყვი ამ საცოდავ ადამიანებს, სოდომი და გომორიც ზუსტად ასე ცხოვრობდა, როგორც ეს ადამიანები აზროვნებდნენ. როცა მათთან ყოვლადწმინდა სამება ანგელოზის სახით მივიდა, გაუპატიურება მოუნდომეს. ამის გამო მოიწვა ეს ადგილი და დღემდე იწვის. რა უნდათ ახლა ამ ადამიანებს, იგივე ცოდვები გაიმეორონ და ანაკლიაც დაიწვას? თუ არ აინტერესებთ ეს ტერიტორია, ჩვენ გვაინტერესებს და თუ არ უნდათ აქ ცხოვრება, ალვირახსნილობის ქვეყნებიც არსებობს და პრობლემა არაა, იქ წავიდნენ საცხოვრებლად. ერთ რამეს მინდა ხაზი გავუსვა, ეს არის ის პატარა ჯგუფი, რომელსაც ვილაცა მართავს.

**— მაინც, ვინ?**

– ადრე ეს იყო გიორგი სიგუასნაირი ადამიანი, ახლა არ

გაგრძელება მე-8 გვერდზე



# მამა გიორგი რაზმაძე „კაზანტიპის“ ორგანიზატორებს კატეგორიულად აფრთხილებს



**„ესე იგი, საროსკიპოებს ხსნიან? და რა გამოდის, რომ მთავრობა და ბანკები ხალხს საროსკიპოების გასახსნელად ფულს უხდის? მე ვფიქრობ, ამ ქვეყანაში სუტენიორობა და პროსტიტუცია ისჯება, არც ამისთანა სახლებია დაშვებული კანონით. ამიტომ მთავრობამ ყურადღება უნდა გაამახვილოს ამაზე, კი არ უნდა მიუშვას დინებაზე. ხალხს კრედიტი კი არ უნდა მისცეს, ჭკუა უნდა ასწავლოს და აუხსნას, რომ ასეთი დანაშაული დასჯადი ქმედებაა და ვინც ასეთ საროსკიპოებს ხსნის, მისი ადგილი არც ანაკლიაშია, არც ზუგდიდშია და ციხეში კი ნამდვილადაა“**

„სოდომი და გომორიც ზუსტად ასე ცხოვრობდა, როგორც ეს ადამიანები აზროვნებდნენ. როცა მათთან ყოვლადწმინდა სამება ანგელოზის სახით მივიდა, გაუპატიურება მოუნდომეს. ამის გამო მოიწვა ეს ადგილი და დღემდე იწვის. რა უნდათ ახლა ამ ადამიანებს, იგივე ცოდვები გაიმეორონ და ანაკლიაც დაიწვას? თუ არ აინტერესებთ ეს ტერიტორია, ჩვენ გვაინტერესებს“



**„მიუხედავად პატრიარქის თხოვნისა და სინოდის შეგონებისა, დუმან ეს ადამიანები და იმედია, ეყოფათ ვაჟკაცობა, ასეთი გახრწნილობა არ დაუშვან ქვეყანაში. მე მათ ვპირდები, რომ ჩავალ ანაკლიაში და ვეტყვი, რომ მათი ადგილი საქართველოში არაა“**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## 8 წლის გოგონას პატრულის მანქანა დაეჯახა



მარნეულში 8 წლის გოგონას პატრულის მანქანა დაეჯახა. შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, საპატრულო ეკიპაჟი პატრულირებდა, რა დროსაც გოგონამ მათ წინ გადაურბინა. შემთხვევის შედეგად მოზარდმა სხეულის მსუბუქი დაზიანება მიიღო.

ფაქტზე გამოძიება 276-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც სატრანსპორტო საშუალების უსაფრთხოებისა და ექსპლუატაციის წესების დარღვევას ითვალისწინებს, რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „რა გზებით მოიხვეჭა გელაშვილმა ქონება?“



საქართველოს პირველი პრეზიდენტის ქვრივი მანანა არჩვაძე-გამსახურდია დეპუტატ ვალერი გელაშვილის ცემის ფაქტთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს და პროკურატურის განცხადებას ეხმაურება.

„ნაყაჩაღარი ფულებით გამდიდრებული გელაშვილის დაცვამ დამღალა. ვიღაც გელაშვილის გამო ალიაქოთი არ ჩაწყნარდა, ამ დროს სამარისებური დუმილია 1991-1992 წლების და მის თანამდევ მოვლენებზე, რაც განხორციელდა საქართველოში გელაშვილისნაირი ყაჩაღებისგან. რატომ გადაეფოფრეთ პუტჩისტებს, საქართველოს დამაქცევრებს, მკვლელებს, კრიმინალებს, უცხო ქვეყნის ჯაშუშებს, საქართველოს ტერიტორიების გამყიდველებს. ასიათასობით დახოცილი ქართველის მკვლელებს, საქართველოს კონსტიტუციური პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მკვლელებს, ვინმე გელაშვილის სახლი გაძფოთებთ და ქართული კულტურის ციტადელის „კოლხური კოშკის“ გაძარცვასა და ვანდალურად განადგურებაზე ხმას არ იღებთ, ამას ჰქვია სამართლიანობის აღდგენა, თქვენთვის დაინტერესებული პირების ცემა დასჯადია, ხოლო საქართველოში გენოციდის მომწყობი კრიმინალები – დასაცავი?

**P.S.** თუ შეიძლება საზოგადოებას მიაწოდეთ სრული ინფორმაცია, რა გზებით მოიხვეჭა გელაშვილმა ქონება, ვინმესგან მემკვიდრეობით ხომ არ გადაეცა!!!“ – წერს მანანა არჩვაძე-გამსახურდია. (რეპორტიორი)




## კახეთში მამაკაცი ხრამში გადაიჩეხა

კახეთში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად 30 წლის მამაკაცი დაშავდა. არსებული ინფორმაციით, ახალგაზრდა მამაკაცი 20 მეტრის სიმაღლიდან ხრამში ჩავარდა. სავარაუდოდ, მამაკაცი არაფხიზელ მდგომარეობაში იყო, რის გამოც ფეხი დაუცურდა. დაზარალებული, სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანებებით ლაგოდეხის რაიონულ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ფაქტზე გამოძიება 120-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქ დაზიანებას გულისხმობს. (ნიუპოსტი)

*მეშვიდე გვერდიდან*

ვიცი, ვინ არის ეს. სიგუა მოხსნეს, მაგრამ ეს თემა არ დასრულებულა, აღვირახსნილობა თუ არ აკრძალა ხელისუფლებამ, ეს სიგუასნაირები სულ იქნებიან. მიუხედავად პატრიარქის თხოვნისა და სინოდის შეგონებისა, დუმან ეს ადამიანები და იმედია, ეყოფათ ვაჟკაცობა, ასეთი გახრწნილობა არ დაუშვან ქვეყანაში. მე მათ ვპირდები, რომ ჩავალ ანაკლიაში და ვეტყვი, რომ მათი ადგილი საქართველოში არაა. ადგილობრივი მოსახლეობის მცირე ჯგუფმა წამოყო თავი, რომელზეც უნდა იფიქროს მთავრობამ. ეს როგორ შეიძლება? გაუგონარი რამეები ხდება? გამოდიან იმ ტელევიზიით, რომელზეც რამდენიმე დღის წინ გიგი უგულავაზე სპექტაკლი დაიდგა. მერე სააკაშვილზე აპირებდნენ სპექტაკლის დადგმას და მას ის ადამიანები უყურებენ მხოლოდ, ვინც მათსავით აზროვნებენ.

**— თქვენ ვისაც უკავშირდებით ადგილზე, იქ რა განწყობაა?**

– ნახევარი საათის წინ მქონდა ზუგდიდელებთან საუბარი და მითხრეს, ფეხზე ვდგავართ მთელი სამეგრელოო. ყველა ჩვენს პოზიციას იზიარებს იმ ადამიანების გამოკლებით, ვინც ტელევიზიაში საქონლებივით გამოყარეს და სისულელეები აფრქვიეს. მე მგონი, სამართალდამცავები უნდა დაინტერესდნენ ამათი საქმეებით, რომ ეს ხალხი საროსკიპოებს აკეთებენ და განგაშის ზარები უნდა შემოვკრათ. რაში სჭირდება ხალხს ამდენი საროსკიპო?

**— მუქარაც დაიწყეს სასულიერო პირების მისამართით, თუ ჩამოვლენ თავებს დავუხეთქავთ, რა მათი საქმეა ფესტივალი, ეკლესიას მიხედონო.**

– აი, ერთს გეტყვით ახლა, უგულავა რამდენიმეჯერ იყო მისული პატრიარქთან, რომ დავეჭირეთ. ახლა ვინ ზის ციხეში, იმასაც ვხედავთ. ასეთი უზნეო ადამიანების მუქარის არავის ეშინია. თუ ვინმე რამის გამკეთებელია, ის არ იმუქრება, ქმედებაზე გადადის. ასეთი დამმუქრებელი ბევრი გვინახავს ჩვენ. ჩვენ განვმარტეთ და ვთქვით, რომ ეს არ არის მუსიკალური შოუ, ეს არის აღვირახსნილობა და კარგად გაარკვიოს ამ ხალხმა. თუ შოუ აღვირახსნილობაზე გავა, ის რა ფესტივალია? ამ საკითხს არანაირი ჯანსაღი დამოკიდებულება არ აქვს არც მუსიკასთან, არც ხელოვნებასთან, არც ტურიზმთან. ასეთი ხალხი მთავრობაში სუტენიორია, დანარჩენი კი - შემსრულებლები, რომლებიც საკუთარ სახლებს საროსკიპოებად აქცევენ. ამ ხალხს შვილები ეზრდებათ, დრო რომ გავა და მათ ეტყვიან, მე შენს სახლში ვიყავი და ვმრუშობდიო, ადვილი წარმოსადგენია ადამიანისთვის? ზნეობრივად სწორად მოაზროვნე ადამიანმა ეს როგორ უნდა დაუშვას? ჩვენ, სასულიერო პირები, ქვეყნის მოქალაქეები არ ვართ? როცა გაუჭირდებათ, თანადგომა რომ სჭირდებათ და წესის აგება, ვის აკითხავენ? როცა ცოდვით დაღლილი ადამიანები მოდიან, ვისგან იღებენ ნუგეშს? მაგრამ ეს ის ადამიანები არიან, ვინც არც ეკლესიაში დადიან, არც ზნეობა და ქვეყანა აღელვებთ, ფულზე დახარბებული უზნეო ადამიანები არიან, რომელთაც კარგად შეეფერებათ რუსული სიტყვა „უროდები". მუქარა თავისი ცოდვებისკენ მიმართონ და საკუთარ თავს გაუბრაზდნენ, თორემ მაგით ვერ შემაშინებენ.



„ერთს გეტყვით ახლა, უგულავა რამდენიმეჯერ იყო მისული პატრიარქთან, რომ დავეჭირეთ. ახლა ვინ ზის ციხეში, იმასაც ვხედავთ. ასეთი უზნეო ადამიანების მუქარის არავის ეშინია. თუ ვინმე რამის გამკეთებელია, ის არ იმუქრება, ქმედებაზე გადადის"

**— დიდი ალბათობით იქნება პროვოკაციები, დაპირისპირებაც. როგორ აპირებთ ამ ტალღის შეჩერებას?**

– ამ შემთხვევაში მთავრობას უნდა ეყოს გონიერება, რომ ამ ზომამდე არ მივიდეს საქმე და ფესტივალი არ ჩატარდეს, მაგრამ თუ საქმე აქამდე მივა, პირდაპირ ვამბობ, ეს იქნება პრემიერ-მინისტრის ბრალი. მას შეეძლო, ერთი სიტყვით გადაეწყვიტა ყველაფერი და არ აკეთებს ამას. მას შეუძლია, მშვიდობიან მხარეს გადაიყვანოს ყველაფერი და ამით დასრულდება. ეს კრედიტები თუ მართლა აღებული აქვთ ამ საცოდავ ადამიანებს, დაუბრუნონ უკან და იმ ხალხს კიდევ, თუ სახლის გარემონტება უნდათ, არ არის აუცილებელი, საროსკიპოებად გააკეთონ.

**— გამოჩნდნენ ცნობილი სახეები, არასამთავრობოები, რომელთაც „კაზანტიპის" დაცვა დაიწყეს, ეს, ალბათ, შემთხვევითი არაა...**

– ერთ მათგანზე, კოკა ყანდიაშვილზე მოგახსენებთ, საინტერესოა მისი შეხედულებები, ახლა რომ წამოყო თავი, ჯერ მისი ორიენტაციაა გასარკვევი, რა მიმართულებით არის ეს ადამიანი და რა უნდა? ჩვენ კი ვიცით, მაგრამ მან თქვას და მერე გავცემთ პასუხს ყანდიაშვილისნაირ ადამიანებს. რა უნდა მისნაირ ადამიანს მთავრობის სამსახურში? აი, ასეთი ადამიანები ჩადიან ანაკლიაში და იმ საცოდავებს აყვირებენ. მასაც სიგუასავით მიუჩენენ თავის ადგილს, თუ ამდენს იხტუნავებს.

არასამთავრობოები კი ცალკე თემაა, რისთვის ემზადებიან და რა შეკვეთას ასრულებენ, ეს გასარკვევია. რა უნდა ამ ხალხს?

**— ხელისუფლება რატომ დუმს, ეშინია, რომელიმე მხარის პოზიცია გაახმოვანოს?**



„მთავრობას უნდა ეყოს გონიერება, რომ ამ ზომამდე არ მივიდეს საქმე და ფესტივალი არ ჩატარდეს, მაგრამ თუ საქმე აქამდე მივა, პირდაპირ ვამბობ, ეს იქნება პრემიერ-მინისტრის ბრალი. მას შეეძლო ერთი სიტყვით გადაეწყვიტა ყველაფერი და არ აკეთებს ამას. მას შეუძლია, მშვიდობიან მხარეს გადაიყვანოს ყველაფერი და ამით დასრულდება"

– ეს ხალხი ორმაგი სტანდარტით აზროვნებს და მოქმედებს. შენთან შენია, იმასთან - იმისი. ნამუსიც არ აწუხებთ, რომ რამე თქვან და ამ დუმილის გამო ხდება ყველაფერი. ვურჩევდი მათ, თავიანთი აზრი ჩამოყალიბებულად თქვან. ან უნდა იდგე მარჯვნივ, ან მარცხნივ, შუა არ გამოვა, არა! შუაში არავის უვლია, ასეთი რამ არ გაგონილა. შუაში მყოფი ადამიანი ფონს ვერასდროს გავა. მათი პოზიციაც მალე გამოჩნდება, აკრძალავენ თუ არა ურჯულოებას. თუ არადა, თავის თავს დააბრალონ.

**— ეს ხომ არ იქნება კიდევ ერთი საბაბი და მოტივაცია, რომ შემოდგომაზე აქციებმა მეტი მასშტაბები მიიღოს?**

– არ გამოვიტირეთ ჩვენ ანტიდისკრიმინაციული კანონი, სინოდმა მიმართა პარლამენტს მისი გამოთხოვის შესახებ, ეს იცით. რას დავგეგმავთ, ყველაფერი ხელისუფლების ქმედებაზეა დამოკიდებული. თუ ეს ხელისუფლება „ნაციონალებივით" მოიქცევა, როგორ დაამთავრებენ, ყველა ხვდება და ვაითუ, „ნაციონალებზე" უარესად დაამთავრონ.

**— მრევლი დაბნეულია, ამ პროტესტში ჩანს მხოლოდ 5-6 აქტიური მამაო. რატომ არ გაქვთ სოლიდარობა, ერთეულებზე რატომ გადადის ამ პრობლემების სიმძიმე?**

– თავიდანვე ასე იყო. ჩრდილში დგომა ადვილი საქმეა და მერე იტყვიან, ჩვენც იქ ვიყავითო. მივმართავ ამ სასულიერო პირებს, ღმერთი მოგკითხავთ, რას აკეთებდით, როცა ქვეყანას თქვენი სიტყვა სჭირდებოდა, რას მოუწოდებდით მრევლს? ასე, რომ, ნუ დაუჯერებენ არასამთავრობოებს, რომლებიც ამბობენ, რომ სასულიერო პირი ეკლესიიდან არ უნდა გამოვიდეს და პოზიცია არ უნდა ჰქონდეს. თუ მათ დაუჯერებენ, ცუდად დაასრულებენ. თუ მოწოდების სიმაღლეზე იქნებიან, მრევლიც არ იქნება დაბნეული. რაც შეეხება მრევლს, ბევრ სასულიერო პირზე საღად აზროვნებს. ის არ არის ბრბო, ის არის ეკლესიის სინდისი. საქართველოს ეკლესიაში იყო პერიოდი, როცა სასულიერო პირები ურევდნენ და მრევლს გადაურჩენია ეკლესია. ზოგს ჰგონია, მოძღვარი რასაც ეუბნება მრევლს, იმას აკეთებს, ასე არაა. მრევლი განათლებულია, კარგად ესმით სჯულის კანონი და ზნეობაც. ზოგი ისე ცხოვრობს, მე ვნატრობ ისე ცხოვრებას. მრევლი ასეთი ადვილად მართვადი ხალხი არაა, როგორც საცოდავ ყანდიაშვილს ჰგონია. მოვა დრო, ჩასვამენ მაგას ტომარაში და თავის ადგილს მიუჩენენ. თქვენი გაზეთის მეშვეობით მოვუწოდებ ხელისუფლებას, ცუდად არ დაამთავროს მოღვაწეობა, გაფრთხილდეს!

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## პუტინმა მთავრობას დასავლეთის სანქციების საპასუხო ზომების გატარება დაავალა



ვლადიმერ პუტინმა მთავრობას დასავლეთის სანქციების საპასუხო ზომების გატარება დაავალა. მისი განცხადებით, ეკონომიკაზე ზეწოლა მიუღებელია. მან ადგილობრივი მწარმოებლების მხარდაჭერის შესახებაც ისაუბრა, თუმცა აღნიშნა, რომ ეს ფრთხილად უნდა განხორციელდეს.

„პოლიტიკური ინსტრუმენტებით ეკონომიკაზე განხორციელებული ზეწოლა მიუღებელია, ეს ეწინააღმდეგება ყველა კანონსა და ნორმას. ამასთან დაკავშირებით, რუსეთის მთავრობამ უკვე დააყენა საპასუხო ზომები იმ ე.წ. სანქციების წინააღმდეგ, რომელიც ზოგიერთმა ქვეყანამ მიიღო", – განაცხადა პუტინმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ყოფილი რწმუნებული დააკავეს



საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლებმა სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ოდენობით ფულადი თანხების დაუფლების, სამსახურებრივი სიყალბისა და ყალბი დოკუმენტების დამზადება-გამოყენების ფაქტზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბობოყვათის თემის ყოფილი რწმუნებული იაშა მახარაძე, მოქალაქეები ბადრი ბასილაძე, როლანდ ბასილაძე და სულეიმან კონცელიძე დააკავეს.

საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბადრი ბასილაძემ განიზრახა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, აჭარის შემოვლითი გზის მშენებლობის არეალში მოხვედრილი მიწების სანაცვლოდ, მოსახლეობისათვის საკომპენსაციოდ გამოყოფილი თანხის მოტყუებით დაუფლება. გეგმის სისრულეში მოსაყვანად დაუკავშირდა იაშა მახარაძეს, მოქალაქეებს სულეიმან კონცელიძეს და როლანდ ბასილაძეს, რომელთა დახმარებითაც მოახდინეს ყალბი მონაცემების შეტანა სხვადასხვა ოფიციალურ დოკუმენტებში, თითქოსდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლების, ბობოყვათისა და ციხისძირის ტერიტორიაზე ფლობდნენ და სარგებლობდნენ 17 195 კვ/მ მიწის ნაკვეთით, რის გამოც, კომპენსაციის სანაცვლოდ საავტომობილო გზების დეპარტამენტისგან მოტყუებით მიიღეს 258 858 ლარი.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით, 341-ე მუხლით და 362-ე მუხლის მეორე ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით. (ნიუპოსტი)



## ძეგლებისა და ხიდების გადატანისას საზოგადოებრივი აზრი უნდა გავითვალისწინოთ

კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი, მიხეილ გიორგაძე თბილისის მერის გადაწყვეტილებას, ძეგლებისა და ხიდების შესაძლო გადატანაზე, ეხმაურება და აცხადებს, რომ აღნიშნულის განხორციელება საზოგადოებრივი აზრის საფუძველზე უნდა მოხდეს.

„ფორმალურად ეს თემები არის მერიის პრეროგატივა, თუმცა, როგორც მოქალაქე, ვფიქრობ, რომ ეს გარკვეულწილად საზოგადოებრივი აზრის გამოკვლევის საფუძველზე უნდა მოხდეს". – განაცხადა გიორგაძემ. (რეპორტიორი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



# „ნაციონალები“ ხელისუფლებაში დაბრუნებას „სამკუთხედის თეორიაზე“ დაყრდნობით გეგმავენ?





„თევზაძე ეყრდნობა ძველ კანონს, რაც დღემდე არ შეცვლილა, ეს იმის „დამსახურებაა“, რომ განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარეს პარლამენტში მოადგილედ უდგას სერგო რატიანი, რომელიც დიდ წინააღმდეგობას უწევს ბატონ ვანო კილურაძეს. უნდა იცოდეთ, რომ სწორედ რატიანმა დაბლოკა ახალი კანონის მიღება“

**„ალიას“ ესაუბრება ილიას სახელობის უნივერსიტეტის პედაგოგი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, ზურაბ გაგნიძე:**

**— გიგი თევზაძის მიერ ილიას სახელობის უნივერსიტეტიდან ორი პროფესორის განთავისუფლება სასამართლომ უკანონოდ ცნო და ისინი, წესით, უახლოეს პერიოდში უნდა იქნან აღდგენილები.**

– ეგ ფაქტი ნამდვილად გასახარია, მაგრამ მანამდე სათქმელი მაქვს ის, რომ 2005 წელს ჩვენი ჯგუფიც მოხვდა მასეთ სიტუაციაში, ჩვენც ალგვადგინა სასამართლომ, მაგრამ თევზაძე მაშინ დაეყრდნო იმდროინდელ კანონს უმაღლესი განათლების შესახებ, რომელიც, სხვათა შორის, ახლაც ძალაშია და, რომლის მიხედვითაც, რაც არ უნდა გადაწყვეტილება მიიღოს სასამართლომ, ბოლოს, აღსრულების მომენტში, მაინც გადგანაც თავად გიგიმ ვერ გაბედა თავად შემოეტანა განცხადება და, სხვათა შორის, ვერც გია ნოდიამ. ბატონი გურამი ჩემი კონკურენტი იყო და ეგონათ, ამით შემაშინებდნენ, მაგრამ მე ჩემი მაშინ ბოლომდე გავიტანე, თუმცა აღსრულება დამიგვიანეს. მახსოვს, საქმე იქამდე მივიდა, ამწყვეტი მნიშვნელობა აქვს რექტორატსა და სახელმწიფო ადმინისტრაციას და ისინი თავად წყვეტენ, ყოფილი თანამშრომელი რა ფორმით აღადგინონ.

**— და ამაში რა იგულისხმება?**

– რა და დანიშნონ ახალი კონკურსი, ცხადია, ძველი შემადგენლობით და ძველი გადაწყვეტილება მოიყვანონ ძალაში. ჩვენთან მიმართებით ასეც მოიქცნენ. ჩემს კონკურენტად გამოცხადებული კონკურსის შემთხვევაში გიგიმ მოიყვანა მამამისი გურამ თევზაძე, რადრომ თევზაძემ წერილიც შეადგინა, რომ მამაჩემი თურქეთის რომელიღაც საავადმყოფოში წევს და მას ვერ დავატოვებინებ ადგილსო და, მოკლედ, აღდგენა შესრულდა დამახინჯებულად. ამ შემთხვევაშიც ასე იქნება. ნამდვილად მჯერა, რომ ამ ორ ჩვენს ყოფილ თანამშრომელს სასამართლო ნამდვილად აღადგენდა, რადგანაც ამ გაუბედურებულ უნივერსიტეტში მუდამ უკანონოდ სჩადიოდნენ და სჩადიან დათხოვნებს. მახსოვს, ეგ ადამიანები რომ დაითხოვეს სამსახურიდან, მათთან ერთად სხვა 30 პროფესორიც დაითხოვეს, რომლებიც თევზაძის დროს იყვნენ მიღებულები.

**— ანუ, ეს ადამიანები ძველ დროს ჩარეცხილები არ არიან?**

– არა და მახსოვს, მთელი ბიზნესის ფაკულტეტი გაუშვა თევზაძემ მაშინ და განაცხადა, ამათ ნაცვლად უცხოელ პედაგოგებს ჩამოვიყვანო, მაგრამ იქ უცხოელი არავინ გვინახავს ჩამოყვანილი, რადგანაც ჩვენს უნივერსიტეტს, სამწუხაროდ, საერთაშორისო დონე არ აქვს. ეს ჩვენთან ჟღერს ილიაუნი, თორემ სინამდვილეში უნივერსიტეტი საერთაშორისო სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს და უცხოეთში არავინ ცნობს, ამიტომ დავუბრუნდეთ ჩვენს თემას და ვთქვათ, რომ ნამდვილად მისასალმებელია ამ ადამიანების აღდგენა და ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ამათი მმართველობის დროს მსგავსი რამ ბევრი არ მომხდარა, მაგრამ რა სახით აღადგენს თევზაძე მათ და აღადგენს კი? ესაა საინტერესო, რადგანაც, ვიმეორებ, ექსრექტორი ამ აღსრულებას გააკეთებს თავისებურად, ანუ, როგორც უნდა, ისე გააკეთებს: უნდა, პროფესორებს ასისტენტად დანიშნავს, უნდა საერთოდ არ დანიშნავს, უნდა გარიგდება და სხვა პოსტზე აიყვანს, ანუ, როგორ გადაწყვეტს, ჯერ არავინ იცის.

**— თქვენთვის თუ არის ცნობილი, ეს ადამიანები მოითხოვენ თუ არა კომპენსაციას?**

– წესით, აუცილებლად უნდა მოითხოვონ, რადგანაც მაგ უნივერსიტეტში ყველაფერი უკანონოდ ხდებოდა და ახლაც დიდი უკანონობა ხდება, კომპენსაცია კი არა, მათ შეიძლება, მოითხოვონ მკაცრი სანქციების გატარებაც. მაგრამ, ვიმეორებ, თევზაძე ეყრდნობა ძველ კანონს, რაც დღემდე არ შეცვლილა, ეს იმის „დამსახურებაა“, რომ განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარეს პარლამენტში მოადგილედ უდგას სერგო რატიანი, რომელიც დიდ წინააღმდეგობას უწევს ბატონ ვანო კილურაძეს. უნდა იცოდეთ, რომ სწორედ რატიანმა დაბლოკა ახალი კანონის მიღება და ამიტომ ვნახოთ, როგორ განვითარდება პროცესები, თუმცა, მგონია, რომ ამ გამართლებულების სიხარული ჯერჯერობით ნაადრევია და, ნეტავი, ვცდებოდე. მგონია, რომ აღდგენა ნაკლულად მოხდება, ან საერთოდ არ შეასრულებს. მე ამას დიდი ხანია ვამბობ, რომ თევზაძისა და მისი ხელისბიჭების შემთხვევაში არაფერ სასიკეთოს არ უნდა ველოდეთ.

**— მაგრამ, მიუხედავად თქვენი სევდიანი პროგნოზისა, ჩემი აზრით, ნამდვილად მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ამ პროფესორებმა უკან არ დაიხიეს, იბრძოლეს და მიზანს მაინც მიაღწიეს, სასამართლომ ისინი გაამართლა.**

– ცხადია, ბოლო მუდამ კეთილია და საბოლოოდ ამათი არაადამიანური მმართველობა რომ დასრულდება, ყველა მებრძოლი დადებითად შეფასდება. ამიტომ, თავად პროცესის მოგება ნამდვილად პოზიტიურად მიმაჩნია. წელან რატიანი ვახსენე და არასოდეს მითქვამს, ვინ დანიშნეს რატიანის ნაცვ-[illegible] ილიაუნის უნივერსიტეტში და ეს იყო კანცლერის პოსტი, ანუ რექტორის შემდეგ კანცლერი მეორე ადამიანია უნივერსიტეტში და დღეს ესაა დავით აფრასიძე. ეს კი ის ადამიანია, რომელიც ჯერ საზოგადოებრივ მაუწყებელზე იყო, მერე უნივერსიტეტში მოღვაწეობდა, მერე ვანო მერაბიშვილის ძალისხმევით გადაიყვანეს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში, მერე – პოლიციის აკადემიის რექტორად. რატიანის წასვლის შემდეგ კი, ეტყობა, მეტი გამოსავალი არ ჰქონდათ, და აფრასიძე დააბრუნეს კანცლერად, ადმინისტრაციის უფროსად და თავად მიხვდით ყველაფერს. ახლა კი გადავალ ყველაზე მნიშვნელოვანზე.

**— და ეს არის?**

– ეს არის შემდეგი. ამ ცოტა ხნის წინ მომაწოდეს ინფორმაცია, რომელიც, სანამ თქვენთან გავაჟღერებდი, საგულდაგულოდ გადავამოწმე: რადგანაც გიგი თევზაძე ჩარეულია პოლიტიკურ საკითხებში, ჯერ მიშას დროს, მერე ამათ დროს და კოჰაბიტაციის დროსაც, ამდენად მისი ძალისხმევა ისევ პოლიტიკურ საკითხებს უკავშირდება. დანარჩენი საკითხები მისთვის უნივერსიტეტში არის ნულის ტოლი და ისე ალაგებს

*გაგრძელება მე-10 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ლოტბარი ვალიკო ნანობაშვილი გარდაიცვალა



87 წლის ასაკში ლოტბარი და ხელოვნების დამსახურებული პედაგოგი ვალიკო ნანობაშვილი გარდაიცვალა. მას 7 აგვისტოს, 14:00 საათზე ანჩისხატის ტაძრიდან გაასვენებენ.

ვალიკო ნანობაშვილმა თბილისის ნიჭიერთა მუსიკალური ათწლედის დამთავრების შემდეგ, უმაღლესი პროფესიული განათლება თბილისის კონსერვატორიაში მიიღო. მან ორი ფაკულტეტი – საგუნდო და თეორიული დაამთავრა. სალოტბარო მოღვაწეობას მშობლიურ კუთხეში, სიღნაღის რაიონში ეწეოდა. მის მიერ ჩამოყალიბებულმა მომღერალთა ანსამბლებმა და გუნდებმა არაერთი გამარჯვება მოიპოვეს რესპუბლიკურ ოლიმპიადებსა თუ საკავშირო ფესტივალებზე. ქართველი ხალხი მას „გალობის მოძღვარს“ უწოდებდა. *(ინტერპრესნიუსი)*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ზესტაფონი-ქუთაისის მონაკვეთზე სამუშაოების 80%-ზე მეტი შესრულებულია



მაღალი წნევის მაგისტრალური გაზსადენის ზესტაფონი-ქუთაისის 700 მმ დიამეტრის 23 კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობის პროცესი გრძელდება. ნავთობისა და გაზის კორპორაციის ცნობით, სამუშაოების 81% უკვე შესრულებულია.

მშენებლობის კონტრაქტის ღირებულება 4 496 765,47 აშშ დოლარია. სამშენებლო სამუშაოების დასრულება მიმდინარე წლის ოქტომბრისთვისაა დაგეგმილი. *(ინტერპრესნიუსი)*

## აზერბაიჯანის ტერიტორიაზე შესვლის ახალ რეგულაციებზე საქართველოს შსს განცხადებას ავრცელებს



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო „ევრო 4“ სტანდარტის არმქონე ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესახებ აზერბაიჯანის მიერ მიღებულ ახალ რეგულაციებთან დაკავშირებით საქართველოს მოქალაქეებს აფრთხილებს, რომ ახალი რეგულაციები 15 აგვისტოდან ამოქმედდება და „ევრო 4“ სტანდარტის არმქონე ავტოსატრანსპორტო საშუალებები აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე დაიშვებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეპატრონე აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვრის კვეთისას შესაბამის ანგარიშზე შეიტანს ავტოსატრანსპორტო საშუალების ღირებულების 30%-დან 40%-მდე საგარანტიო თანხას. აღნიშნული თანხა მას მხოლოდ ქვეყნის ტერიტორიის დატოვების შემდეგ დაუბრუნდება. ამასთანავე, კიდევ ერთი აუცილებელი პირობაა აზერბაიჯანის მოქალაქის წერილობითი თანხმობა, რომლითაც ის იღებს პასუხისმგებლობას „ევრო 4“-ის სტანდარტის არმქონე ავტოსატრანსპორტო საშუალების ქვეყნის ტერიტორიაზე ყოფნის პერიოდში“, – ნათქვამია განცხადებაში. *(ინტერპრესნიუსი)*

*მეცხრე გვერდიდან*

ყველაფერს, როგორც მის ინტერესებს შეესაბამება. აი, რაც შეეხება პოლიტიკურ მხარეს, თევზაძემ შეიმუშავა სამკუთხედის თეორია.

**— რას ნიშნავს სამკუთხედის თეორია, ახალი პითაგორაა?**

– ამ შემთხვევაში უფრო საინტერესო: ამ უახლოეს პერიოდში ინფორმაციების შედეგად გაიშიფრა, რომ „ნაციონალები“ ე.წ. „დაბრუნებას“ ჯერ შემოდგომისთვის ამზადებდნენ, რაც გამოიხატებოდა მთელ რიგ პროვოკაციებსა და საბოტაჟში და მოგეხსენებათ, სიტუაცია როგორ წარიმართა და, როგორ დალაგდა ყველაფერი და ახლა კი არეულობები გადაიტანეს დეკემბრისთვის. მათი აზრით, შემოდგომას ახლა დეკემბერი არჩიეს, როცა, ბუნებრივია, აცივდება და დადგება გათბობისა და კომუნალური გადასახადების პრობლემები, აი, ამ დროს „ნაციონალური მოძრაობა“ და იგივე ილიაუნი, რომელიც ამ მოძრაობის ორგანული ნაწილია, გეგმავს პოლიტიკურ არეულობებს. აქ დაიგეგმა სამკუთხედის შექმნა, რაც გამოიხატება შემდეგში: თევზაძე, ამ სახელში კი მოიაზრება მთელი ილიაუნი, მეორე სანიკიძე, რომლის სახელშიც მოიაზრება განათლების სამინისტრო და მესამე, დღევანდელი პრეზიდენტი მარგველაშვილი და ეს სამკუთხედი, ფაქტობრივად, იქნება გადატრიალების ხერხემალი. ეს დაიგეგმა იმის გამო, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ მივიდა იმ აზრამდე, რომ არჩევნების გზით მათ კიდევ დიდხანს მოუწევთ ლოდინი, რადგანაც ხალხს ძალიან კარგად ახსოვს მათი ქმედებები, ამიტომ ამ გეგმის მიხედვით, მოხდება დარტყმა ხელისუფლების სისუსტეებზე, კერძოდ, სოციალურ მხარეს ვგულისხმობ. აქვე მოიაზრება იმ პარლამენტარებზე დაყრდნობა, ვინც მაგათ ფრაქციაშია სერგო რატიანის ხელმძღვანელობით და სანიკიძეზე დაყრდნობით კი მარგველაშვილი შექმნის პარტიას.

**— კი, მაგრამ ახალ პარტიას დაფინანსება არ უნდა?**

– აი, დაფინანსება რომ სჭირდება ამათ პარტიას, ეს გათვალისწინებულია განათლების სამინისტროდან, სადაც სანიკიძემ თანხა ჩარეცხილების დაბრუნებას ნამდვილად არ მოახმარა და ეს იქნება მაშველი რგოლი „ნაციონალური მოძრაობისათვის“

**„ნაციონალები“ ე.წ. „დაბრუნებას“ ჯერ შემოდგომისთვის ამზადებდნენ, რაც გამოიხატებოდა მთელ რიგ პროვოკაციებსა და საბოტაჟში და მოგეხსენებათ, სიტუაცია როგორ წარიმართა და, როგორ დალაგდა ყველაფერი და ახლა კი არეულობები გადაიტანეს დეკემბრისთვის. მათი აზრით, შემოდგომას ახლა დეკემბერი არჩიეს, როცა, ბუნებრივია, აცივდება და დადგება გათბობისა და კომუნალური გადასახადების პრობლემები“**




**„ის „ნაციონალები“, რომლებიც დროებით გაემიჯნენ „ნაციონალებს“, კვლავ დაუბრუნდებიან ამ მოძრაობას, ისინი გადაიბირებენ სხვა დეპუტატებსაც, მალევე მოიპოვებენ საპარლამენტო უპირატესობას და ამის შემდეგ მოსალოდნელია, პარლამენტის თავმჯდომარეც გადააყენონ. თუ მანამდე მარგველაშვილს არ დააწერინეს განცხადება „ოცნების“ ძალებმა, მოხდება საპარლამენტო გადატრიალება, სადაც მარგველაშვილი და სააკაშვილი ერთად მოახდენენ ძალაუფლების დაბრუნებას“**

და, თუ „ნაციონალური მოძრაობა“ ვერ მოახერხებს დაბრუნებას, ისინი ისევ მარგველაშვილის პარტიის სახით დაბრუნდებიან. სანიკიძე ამ შემთხვევაში მარგველაშვილის კადრია და მას დაუჭერს მხარს, ბუნებრივია, და აქვე იქნება თევზაძის ფაქტორი, თავისი ილიაუნის სახსრებით და ეს სამკუთხედი შეეცდება, რომ მარგველაშვილი კი არ ჩაირეცხოს, არამედ ის გამოყენებულ იქნას ძველი სისტემის მოსაბრუნებლად.

**— შესაძლებელია, რომ ამის შემდეგ მოხდეს კოალიციის ჩამოყალიბება, იგივე თქვენ მიერ ნახსენები მარგველაშვილის პარტიისა და „ნაციონალური მოძრაობის“ გაერთიანების საფუძველზე?**

– არაფერი არაა გამორიცხული. მანამდე პარლამენტში მოხდება სავარაუდო გადაჯგუფებები: მათი აზრით, ის „ნაციონალები“, რომლებიც დროებით გაემიჯნენ „ნაციონალებს“, კვლავ დაუბრუნდებიან ამ მოძრაობას, ისინი გადაიბირებენ სხვა დეპუტატებსაც, მალევე მოიპოვებენ საპარლამენტო უპირატესობას და ამის შემდეგ მოსალოდნელია, პარლამენტის თავმჯდომარეც გადააყენონ. თუ მანამდე მარგველაშვილს არ დააწერინეს განცხადება „ოცნების“ ძალებმა, მოხდება საპარლამენტო გადატრიალება, სადაც მარგველაშვილი და სააკაშვილი ერთად მოახდენენ ძალაუფლების დაბრუნებას.



დავით აფრასიძე

**„დანიშნეს რატიანის ნაცვლად დავით აფრასიძე. ეს კი ის ადამიანია, რომელიც ჯერ საზოგადოებრივ მაუწყებელზე იყო, მერე უნივერსიტეტში მოღვაწეობდა, მერე ვანო მერაბიშვილის ძალისხმევით გადაიყვანეს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში, მერე – პოლიციის აკადემიის რექტორად. აფრასიძე დააბრუნეს კანცლერად, ადმინისტრაციის უფროსად და თავად მიხვდით ყველაფერს“**

**ბრალდებები ისეთია, რომ კომენტარისთვის დავუკავშირდით ილიაუნის ყოფილ კანცლერს, ამჟამინდელ პარლამენტარს სერგო რატიანს:**

**— ჩვენთან იყო მოსული ილიაუნის პროფესორი ზურაბ გაგნიძე, რომელმაც განაცხადა, რომ... (მაწყვეტინებს)**

– გაგნიძე? მანდ გავჩერდეთ და მანდ დავხუროთ თემა. კომენტარი არ მაქვს.

**თამარ ოქრუაშვილი**
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საჩხერის „ჩიხურა“ ბაქოს „ნეფთჩის“ უმასპინძლებს



საჩხერის „ჩიხურა“ ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩში ბაქოს „ნეფთჩის“ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე უმასპინძლებს.

როგორც სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა, ლევან ყიფიანმა განაცხადა, სპორტის სამინისტროს უშუალო პრეროგატივაა მატჩის ორგანიზება და მისთვის ზედამხედველობის გაწევა.

„შედგა საგანგებო შეხვედრა ფეხბურთის ფედერაციაში, სადაც ჩართულია, სხვადასხვა უწყებები, უსაფრთხოების მიზნით. ეს პრობლემა, რომელიც ჩვენ შეგვექმნა რამდენიმე დღის წინ, აღარ უნდა განმეორდეს. ჩვენი სამართალდამცავი ორგანოები, ფეხბურთის ფედერაცია და სამინისტრო მზად ვიქნებით იმისთვის, რომ ასეთი გამოხტომები ავკრძალოთ ქვეყანაში“, – განაცხადა ყიფიანმა.

საჩხერის „ჩიხურასა“ და ბაქოს „ნეფთჩს“ შორის პირველი შეხვედრა ბაქოში 31 ივლისს გაიმართა, თამაში ანგარიშით 0:0 დასრულდა. გულშემატკივრებს შორის, ჩხუბი მოხდა. მიზეზი „ჩიხურას“ ფანების მიერ სტადიონზე საქართველოს რუკის ჩამოკიდება გახდა, სადაც ზაქათალა და კახი საქართველოს ტერიტორიად იყო აღბეჭდილი.

აზერბაიჯანელმა სამართალდამცავებმა დააკავეს რამდენიმე ქართველი გულშემატკივარი, მათ შორის ჟურნალისტებიც. დაკავებულები რამდენიმე საათში გაათავისუფლეს. *(ინტერპრესნიუსი)*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ვეჯინის მოსახლეობა ინდოელ ფერმერებს მიწის უკანონოდ მითვისებაში ადანაშაულებს




გურჯაანის რაიონის სოფელ ვეჯინში, მოსახლეობის ნაწილი ინდოელ ფერმერებს უპირისპირდება და მათ საძოვრისთვის გამოყოფილი მიწის უკანონოდ მითვისებაში ადანაშაულებს.

ადგილობრივების თქმით, ინდოეთის მოქალაქეებმა მისასვლელი გზა დაამუშავეს, რის გამოც ნაკვეთებამდე მისვლა უჭირთ. ვეჯინელები ინდოელ ფერმერებს ადგილობრივების ნაკვეთების დაწვაშიც ადანაშაულებენ. მათივე თქმით, არსებული პრობლემების შესახებ ადგილობრივი ხელისუფლება არაერთხელ ჩააყენეს საქმის კურსში, თუმცა, ამ დრომდე, რეაგირება არ მომხდარა. ინდოელმა ფერმერებმა ვეჯინელების ბრალდებებს არ უპასუხეს.

გურჯაანის რაიონის გამგებელი გია გერგიძე ფაქტის შესახებ ინფორმაციას არ ფლობს, თუმცა აცხადებს, რომ პრობლემის შესწავლას დაიწყებს. *(ინტერპრესნიუსი)*

# რას შეცვლის „ალიას“ ინიციატივით გარემოს დაცვის სამინისტრო მონადირეებისთვის

**უკვე ცნობილია, რომ გადამფრენ ფრინველებზე ნადირობის სეზონი 16 აგვისტოს დაიწყება. ნადირობის მსურველებმა თან უნდა იქონიონ გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე დაწესებული მოსაკრებლის, 10 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი რომელიც მთელი სეზონის განმავლობაში იმოქმედებს. მოსაკრებლის გადახდა საქართველოს ნებისმიერ ბანკშია შესაძლებელი. ასევე, უნდა იქონიონ საქართველოს შსს-ს შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული სანადირო თოფის შენახვისა და ტარების უფლების დამადასტურებელი საბუთი. გარემოს დაცვის სამინისტროს განცხადებით, სახელმწიფო ნაკრძალებსა და ეროვნულ პარკებში, ასევე მათ გარშემო 500-მეტრიან ზონაში და საქართველოს ქალაქების ადმინისტრაციულ საზღვრებში ნადირობა იკრძალება და ამ წესის დამრღვევი 100-დან 500 ლარამდე დაჯარიმდება, ნანადირევის ჩამორთმევითა და სანადირო იარაღის კონფისკაციით ან მის გარეშე.**

**დეტალების დასაზუსტებლად „ალია“ გარემოს დაცვის სამინისტროს ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტის უფროსს, სოსო ქარცივაძეს დაუკავშირდა:**





**— ბატონო სოსო როდემდე გაგრძელდება ნადირობის სეზონი?**

– 16 აგვისტოს დაიწყება და 2015 წლის 15 თებერვლამდე გაგრძელდება. ეს პერიოდი გადამფრენ ფრინველებს ეხება. 1-ელ მარტამდე გაგრძელდება წყალმცურავებზე და სხვა სახის ფრინველებზე ნადირობის სეზონი, თუმცა მათ შესახებ, უფრო დეტალურ ინფორმაციას მოგაწვდით.

**— მათზე სანადიროდაც 10-ლარიანი გადასახადია დაწესებული?**

– კი, 10 ლარს გადაიხდიან და ამ ქვითრის ვადა 1-ელ მარტამდე იმოქმედებს.

**— თითოეული სახეობის ფრინველის მონადირებაზე გარკვეული ლიმიტია დაწესებული. თუ მონადირემ ლიმიტს გადააჭარბა, დადგენილზე მეტი ფრინველი მოკლა, ამ სხვა დადგენილი ნორმა დაარღვია, კონკრეტულად რა სანქციები დაეკისრება მას? ცოტა ბუნდოვანი განმარტებაა, რომ კანონის დამრღვევი 100-დან 500 ლარამდე დაჯარიმდება.**

– გააჩნია, ვინ რა წესსა და კანონს დაარღვევს, ჯარიმაც იმის მიხედვით დადგინდება. თუ, დავუშვათ, ვინმემ 20-ის ნაცვლად 30 მწყერი მოკლა, დაანგარიშდება ეს ზედმეტი, არალიმიტირებული 10 მოკლული მწყერი, ამისთვის არსებობს სპეციალური რეგულაციები, ეს კანონშია გაწერილი. ამის მიხედვით დადგინდება რამხელა ჯარიმა ეკუთვნის. გარდა ამისა, კანონის ასეთ დამრღვევს, ნანადირევიც ჩამოერთმევა. ჩვენი სამინისტროს ზედამხედველობის დეპარტამენტი არსებული კოდექსის მიხედვით განსაზღვრავს, რომელი კატეგორიის კანონდამრღვევმა რა ოდენობის ჯარიმა უნდა გადაიხადოს, შემდეგ მიმართავს სასამართლოს და სწორედ სასამართლო გადაწყვეტს, ვის რა ოდენობის ჯარიმა უნდა დაეკისროს.

**— ანუ თქვენი სამინისტროს ზედამხედველობის დეპარტამენტი ერთპიროვნულად ვერ დააჯარიმებს კანონდამრღვევს?**

– ვერა, ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია, რომ დანაშაული აღვკვეთოთ, მერე კი სასამართლოს მივმართოთ, კანონდამრღვევი რომ დააჯარიმოს. გადაწყვეტილება საბოლოოდ სასამართლომ უნდა გამოიტანოს, მან უნდა განსაზღვროს, კონკრეტული კანონდამრღვევი, რა სახის ჯარიმას იმსახურებს. ჩვენ შეიძლება ვინმესთვის 500-ლარიანი ჯარიმა და თოფის ჩამორთმევა მოვითხოვთ, მაგრამ სასამართლომ მხოლოდ ჯარიმა აკმაროს და ისიც 500 ლარზე ნაკლები. მოკლედ, ბოლო სიტყვა სასამართლოზეა.

**— რა შემთხვევაში ჩამოერთმევა მონადირეს თოფი ან სხვა სანადირო მოწყობილობა?**

– ამასაც სასამართლო გადაწყვეტს. ცხადია, თუ ბრაკონიერთან გვაქვს საქმე, ჩვენ მოვითხოვთ, მისი სანადირო საშუალებების კონფისკაციას, მაგრამ საბოლოოდ, სასამართლოს გადასაწყვეტია, ჩამოართმევს თუ არა.

**— ადრე დასახლებული პუნქტიდან 5 კილომეტრის რადიუსში იკრძალებოდა ნადირობა. ამ მხრივ ხომ არაფერი შეცვლილა?**

– არა, ეს წესი ძალაში დარჩა. მინდა გითხრათ, რომ რაც იყო, თითქმის ყველა წესი და კანონი ძალაშია ნადირობასთან დაკავშირებით, კანონი არ გამკაცრებულა და მონადირეებს წელს არანაირი უსიამოვნო სიურპრიზი არ ელოდებათ.

**— ბატონო სოსო, ნადირობის მსურველმა ბანკში უნდა აიღოს 10-ლარიანი ქვითარი, რომელიც მთელი სეზონის მანძილზე ნადირობის ნებართვაა. ბანკს ამ 10 ლარის გადახდის შემთხვევაში პროცენტი მიაქვს, უმეტესობას 1 ლარი. გარდა ამისა, ნადირობის მოყვარულები ბანკში მისვლით, იქ რიგში დგომით დროსაც კარგავენ. უმჯობესი არ იქნება, ახალი სერვისი დანერგოთ და ამ 10 ლარის გადახდა ე.წ. სწრაფი გადახდის აპარატებით იყოს შესაძლებელი? ხალხი ფულსაც დაზოგავს, დროსაც და მადლიერიც ბევრი დაგრჩებათ.**

– სიმართლე გითხრათ, მაგაზე არ გვიფიქრია. დიდი მადლობა მინდა გითხრათ, რომ ეს იდეა მოგვაწოდეთ. ამაზე აუცილებლად ვიმუშავებთ ბანკებთან ერთად და იმედია, მომავალში ამ სწრაფი გადახდის აპარატებით გადახდასაც დავნერგავთ. მართლა ძალიან კარგი იდეაა.

„ალია“ ექსკლუზიურად გთავაზობთ კონკრეტული სახეობის ფრინველებზე ნადირობის სეზონის ვადებსა და კონკრეტული სახეობის ფრინველების მონადირების ნებადართულ, დღიურ ლიმიტს.

გადამფრენ ფრინველზე ნადირობის სეზონის ვადები: 16 აგვისტო – 15 თებერვალი.

დღიური ლიმიტი. ჩუბუხა – 5 ცალი, მწყერი – 20, ქედანი – 10, გარეული მტრედი – 10, გულიო – 10, ჩვეულებრივი გვრიტი – 10.

ტყის ქათამზე ნადირობის სეზონი: 15 ოქტომბერი-1 მარტი. დღიური ლიმიტი – 10 ცალი.

წყალმცურავეებზე ნადირობის სეზონის ვადები და ნანადირევის დღიური ლიმიტი (აღნიშნული ლიმიტი მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, გარდა ახალქალაქის, წალკის, დმანისისა და ნინოწმინდის რაიონებისა. ამ რაიონების ტბებსა და წყალსაცავებზე, ზუსტად იმავე სახეობის წყალმცურავებზე, ნადირობის სეზონი და ნანადირევის დღიური ლიმიტიც განსხვავებულია).

ნადირობის სეზონი: 1 ნოემბერი-1 მარტი.

დღიური ლიმიტი: რუხი ბატი – 5 ცალი, რუხი იხვი – 3, ჭიკვარა (სტვენია) – 5, გარეული იხვი – 6, იხვინჯა (ჭახჭახა იხვი) – 3, ფართოცხვირა (განიერნისკარტა) – 6, კუდსადგისა (ბოლოსადგისა) – 3, მელოტა – 5, თეთრშუბლა იხვი – 6, დიდი თეთრშუბლა ბატი – 5, წითელთავა ყვინთია – 3, ქოჩორა ყვინთია – 5.

ახალქალაქის, წალკის, დმანისისა და ნინოწმინდის რაიონები. ნადირობის სეზონი: 1 სექტემბერი-1 ნოემბერი.

დღიური ლიმიტი: რუხი ბატი – 3 ცალი, რუხი იხვი – 2, ჭიკვარა (სტვენია) – 3, გარეული იხვი – 5, იხვინჯა (ჭახჭახა იხვი) – 2, ფართოცხვირა (განიერნისკარტა) – 2, კუდსადგისა (ბოლოსადგისა) – 2, მელოტა – 5, თეთრშუბლა იხვი – 3, დიდი თეთრშუბლა ბატი – 3, წითელთავა ყვინთია – 2, ქოჩორა ყვინთია – 3.

ახალქალაქის, წალკის, დმანისისა და ნინოწმინდის რაიონებში, ნანადირევის დღიური ლიმიტი, შესაძლოა, შეიცვალოს. სოსო ქარცივაძის განმარტებით, ამ დროისთვის, ჯავახეთის ზეგანზე გარემოს დაცვის სამინისტროს ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტის ექსპერტები არიან წასული და ადგილზე სწავლობენ ვითარებას. თუ რაიმე შეიცვალა, სამინისტრო ამის შესახებ სპეციალურ განმარტებას გააკეთებს.

»» ლევან ჯავახიშვილი
577 51 73 37

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ბარბარე რაფალიანცის ოჯახი მთავრობის ადმინისტრაციას შეხვდა



10 თვის ბარბარე რაფალიანცის ოჯახი წევრებმა მთავრობის ადმინისტრაციაში შეხვედრა გამართეს. მათი განცხადებით, ამ შეხვედრაზე მომდევნო შეხვედრა დაიგეგმა.

„საუბარი შეეხებოდა იმას, რომ ჭიკაიძე ვერანაირად ვერ შეგხვდებათო, რადგან ორთაჭალაში არის საქმე გადაცემულიო, სულ ცოტა ხანში დაგიკავშირდებიან ირაკლი ღარიბაშვილის, ალექსანდრე ჭიკაიძისა და ორთაჭალის წარმომადგენლებიო და გაგესაუბრებიანო“, – განაცხადა რაფალიანცის დედამ.

შეგახსენებთ, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე 10 თვის ბარბარე რაფალიანცი კახეთში, საკუთარ სახლში, ქვევრში გარდაცვლილი იპოვეს. საქმე დღემდე გაუხსნელია, მისი გამოძიება პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა პირად კონტროლზე ჯერ კიდევ შინაგან საქმეთა მინისტრობისას აიყვანა და განაცხადა, რომ „ფაქტების დაფარვის გამო საქმის დროულად გახსნა გაძნელდა“. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რასმუსენი რუსეთს საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში კონფლიქტის გაღვივებაში ადანაშაულებს



ნატოს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი **The Financial Times**-ში გამოქვეყნებულ წერილში რუსეთს საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში კონფლიქტის გაღვივებაში ადანაშაულებს.

„მას შემდეგ, რაც რუსეთში კომუნიზმის ერა დასრულდა, ნატო-მ რამდენჯერმე სცადა მოსკოვთან ჩართულობა. შესთავაზა მას სწრაფვა სტრატეგიული პარტნიორობისკენ და მთელ რიგ საკითხებზე უფრო მეტი თანამშრომლობა, ვიდრე ნებისმიერ სხვა ქვეყანას, რომელიც ნატო-ს წევრი არ არის. რუსეთის პასუხი იყო წესების წიგნის გადახევა. რუსების მიერ ზურგგამაგრებული სეპარატისტები დაკავშირებულნი არიან მალაიზიის სამგზავრო თვითმფრინავის ტრაგედიასთან. ამის გამო ჩვენი სამყარო უფრო საშიში და არაპროგნოზირებადი ადგილი გახდა. ალიანსმა სწრაფად უპასუხა რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიას, მან შეაჩერა მოსკოვთან ყველანაირი პრაქტიკული თანამშრომლობა. ამასთანავე, შეინარჩუნა დიპლომატიური არხები დიალოგისთვის. ჩვენ გავზარდეთ თანამშრომლობა უკრაინასთან და მივიღეთ სასწრაფო ზომები, რათა გავაძლიეროთ ჩვენი მზადყოფნა. ჩვენ უნდა გვყავდეს უფრო მეტი გემი ზღვაში, მეტი თვითმფრინავი ჰაერში და უნდა გვქონდეს უფრო მეტი წვრთნა ხმელეთზე“, – აღნიშნულია წერილში. (ნიუპოსტი)



## საქართველოში მიწისძვრა მოხდა

6 აგვისტოს დილით საქართველოში მიწისძვრა მოხდა. სეისმოლოგიური ცენტრის ინფორმაციით, ეპიცენტრი დმანისის რაიონში მდებარეობდა. მიწისძვრის სიმძლავრე 3,4 მაგნიტუდას შეადგენდა. ასევე, იგრძნობოდა ბიძგები თბილისშიც. (ნიუპოსტი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



# რა პრობლემებია საქალაქო ტრანსპორტში...



**„ალიას" მძღოლთა უფლებების დამცველი ნიკოლოზ კაჭკაჭური ესაუბრა:**

**— ბატონო ნიკოლოზ, თუ მოახერხეთ შეხვედრა ქალაქის ტრანსპორტის სამსახურის ახალ უფროსთან? წინა ინტერვიუში მითხარით, რომ აპირებდით, მერსაც შეხვედროდით...**

– ქალაქის მერმა გამგებლები უნდა წარადგინოს, ისეთი მოუცლელობაა, რომ, ალბათ, ამის გამო ვერ იცლიან. ამ დღეებში ვაპირებთ, შევიდეთ და გავაცნოთ მათ ის უამრავი პრობლემა, რაც არის ქალაქის ტრანსპორტში. ტრანსპორტის ახალ უფროსს პირადად არ ვიცნობ, არც ის ვიცი, მუშაობდა თუ არა ტრანსპორტში. მეგონა, ისეთ კანდიდატურას შეარჩევდნენ, რომელსაც 2 ან 3 ხელისუფლება ჰქონდა გამოვლილი. რახან ახალი კადრია, მას ახლა დახმარება სჭირდება, რომ სიტუაციაში გაერკვეს. ამ ადამიანს სჭირდება მხარდაჭერა, რომ სწორ გზაზე დადგეს ამ უამრავი პრობლემის მოსაგვარებლად. იკვეთება კორუფციული მომენტებიც, რომელიც აუცილებლად უნდა იცოდეს მან.

**— რას გულისხმობთ კონკრეტულად, რა კორუფციაზეა საუბარი?**

– ამ ეტაპზე მეტს ვერ დავაკონკრეტებ, დეტალებს შევისწავლი და წარვუდგენ ტრანსპორტის სამსახურის უფროსს. რაც ახალი ხელისუფლება მოვიდა, ისეა მიშვებული სიტუაცია, რომ სრულიად უკონტროლო გახდა.

**— ყველაზე მეტად რა აწუხებთ მძღოლებს?**

– პირველ რიგში გადასახადები, რომელიც მძღოლებს ახრჩობთ. იმ კომპანიის ხელმძღვანელები, რომლებიც ტრანსპორტს მართავენ, ძალიან შორს არიან ამ ბიზნესისგან. გამოდის უკვე ხმები, რომ მთელი რიგი კორუფციული სისტემა მუშავდება. თავისთვის რაღაცებს „ჩალიჩობენ", ბიზნესს კი არ აკეთებენ, ამიტომ უნდა გადაიხედოს მათი საქმიანობა. შეგნებულად არ ვამბობ, ამ ეტაპზე რა ინფორმაციას ვფლობ ამ კორუფციული გარიგებების შესახებ, რომ არ დაფრთხნენ. ყველაფერი უნდა გადაიხედოს, რომ ეს კორუფცია არ გაიზარდოს, ყველა გასათავისუფლებელი განთავისუფლდეს. ის ადამიანები, რომლებიც ამ ხელისუფლებას ხელს უშლიდნენ, ახლა ისევ კომფორტულად გრძნობენ თავს თანამდებობებზე და ეს დრო უნდა დამთავრდეს.

**— გადასახადების ნაწილში, როგორც თქვენ ამბობთ, უნდა გადაიხედოს სიტუაცია, რა ხდება, რაზეა საუბარი?**

– ძალიან დიდ პრობლემებს ქმნის საგადასახადოსთან ურთიერთობა. საქმე ისაა, რომ სამსახურის ხელმძღვანელმა ფიქსირებული გადასახადი უნდა დააწესოს. ამაში ყველაზე დიდ პრობლემას ვხედავ, რადგან საგადასახადო ინსპექციას შეუძლია, მძღოლს ქონება დაუყადაღოს, ბუღალტერიის სწავლა როგორ უნდა მოსთხოვო მძღოლებს, ზოგს სკოლა არ აქვს დამთავრებული, ვერც ბალანსს ადგენენ და შეიძლება ამის გამო საგადასახადო ინსპექციამ პრობლემა შეუქმნას. თავს შევაკლავ, ამ საქმეს აუცილებლად მივიტან მერიამდე. 9 კლასდამთავრებულმა მძღოლმა რა იცი, რა არის ანგარიშფაქტურა, ეს უნდა მოისპოს, რომ მერე დავა არ წარმოიქმნება.

**— ეს საკითხი წინა ხელისუფლების დროსაც ხომ დააყენეთ და რა პასუხი მიიღეთ?**

– კი, დავაყენეთ, საუბარი იყო 10 ლარზე. უგულავა დაგვპირდა, მაგრამ ვილაცების გულის მოსაგებად გადაიფიქრა.

**— რაც შეეხება სატარიფო სისტემას, ეს გადასახედი არაა? მოსახლეობა ამბობს, 50-დან 80 თეთრამდე კი გაიზარდა ფასი, მაგრამ დაპირებული კომფორტი ვერ მივიღეთო.**

– ეს 80 თეთრი ისეთნაირად არის გათვლილი, რომ გეგმა იქნას ამოღებული, 10 თეთრიც რომ დააკლდეს, მძღოლი სახლში ფულს ვერ წაიღებს, ვერც საჭმელს შეჭამს, მანქანის შენახვაზე ხომ საუბარიც ზედმეტია. მოგეხსენებათ, მანქანებს ძვირადღირებული ნაწილები აქვს, 50-გრამიანი დეტალი 1000 ლარი შეიძლება ღირდეს. თუ მძღოლს ფული არ ექნა, ამ მანქანებს დაყრიან და წავლენ სამსახურიდან. ეს ფასი არ მოიმატებს, მაგრამ ვერც დაბლა დაიწევს, რადგან, ფაქტობრივად, მშიერ მძღოლს მივიღებთ ამით. არსებობს მომგებიანი და წამგებიანი ხაზები, მაგალითად, წამგებიან ხაზებზე მომუშავე მანქანებს კომპანია ზეთსაც უცვლის და მანქანასაც უკეთებს, რადგან ვერ ახერხებს მძღოლი ამის გადახდას.

**— ზოგჯერ სამარშრუტო რომ აგვიანებს, მძღოლი ამბობს, რა ვქნა გაფუჭდაო. ხშირად ფუჭდება მანქანები?**

– ეს კიდევ ცალკე პრობლემაა. შეიძლება იტყუებიან. ჩვენ ადრე ქალაქის მერიას შევთავაზეთ ასეთი რამ, არსებობს „ჯი-პი-არ-ეს"-ის მოწყობილობა, რომელსაც აყენებენ მანქანაში. აპარატურა საკმაოდ იაფი ღირს. ის უზრუნველყოფს იმას, რომ წინა მანქანა უკანას ხედავს და პირიქით. ერთმანეთში ამით მძღოლები დისტანციას დაიცავენ და აღარ იქნება ის გაუგონარი ვითარება, როცა ხშირად ჩხუბობენ მძღოლები, ხანდახან ხელჩართული ჩხუბიც მომხდარა. ხშირად ერთი და იგივე ნომერი ერთდროულად მოდის ხოლმე და ვინც პირველი მოვა, ის აიყვანს მგზავრს. დასაყენებელია დამატებითი ტაბლოები გაჩერებაზე, რომ ავტობუსის მოსვლის დროის გარდა, მგზავრმა იცოდეს, სამარშრუტო ტაქსი როდის მოვა. კომპანიას ეს ძვირი არ დაუჯდება, სამაგიეროდ, მგზავრის კომფორტზე იქნება მორგებული. მძღოლების არანაკლები პრობლემა არის კიდევ ის, რომ ბოლო გაჩერებებზე არ არის არც საპირფარეშო, არც საკვები ობიექტი. საქონლები ხომ არ არიან, ადამიანები არიან. თქვენ არ იცით, რა მძიმე მდგომარეობაში არიან, როცა საპირფარეშოს საძებნელად დიდი მანძილის გავლა უწევთ. ეს ხომ ელემენტარული ჰიგიენის საკითხია? ყველა მთავრობა საქონლად თვლიდა ამ ხალხს და ახლა მაინც როგორმე იქნებ მიხედონ. მე თავად წავედი და მინდოდა, როგორმე მომეძებნა ადგილები ამის გასაკეთებლად, ან სადისპეტჩერო დადგმულიყო, ან მძღოლების თავშესაფარი, ჩემი ძალებით ყველგან ამას ვერ შევძლებდი.

**— ხელშეკრულებების გადახედვას ითხოვდით ადრე...**

– ეს აუცილებელია, იქ ისეთი პუნქტებია, რომელიც აუცილებლად უნდა გასწორდეს. მძღოლმა მძღოლი დაჭრა იმის გამო, რომ ვერ გაარკვიეს ერთმანეთში, ვის ეკუთვნოდა მანქანა. ბოლოს ვის რჩება მანქანა, ვერ იგებენ. ყველაფერი ასე მაღალფარდოვნად კი არა, მძღოლის ენაზე უნდა ჩაიწეროს, რომ ადვილად გასაგები იყოს. თავიდან თითქოს მოწესრიგებული იყო, მერე აირდაირია სიტუაცია და ამ არეულობით ბევრმა ისარგებლა. არიქა, ივანიშვილი მოვიდა და გვეშველაო. კი არ გვეშველა, უარესად წავიდა ყველაფერი. დღე და ღამე ქუჩაში ყრიან მძღოლები. ავტობუსებსაც დიდი პრობლემები აქვთ, ეს კონტროლიორები სამიზნე გახდნენ, ჩხუბი სიახლე არაა, ადამიანის გარდაცვალებამდე მიდის უკვე საქმე. ახალი ტექნოლოგიები შემოვიდა და რა გახდა ამ ავტობუსებში კამერების გაკეთება, რომ დააფიქსირონ ყველა დარღვევა, არც მძღოლს დაემართოს ინფარქტი და თუ რამე გადაცდომა ექნება, ისიც გავიგოთ. მონიტორინგის სამსახურით ბიუჯეტში მეტი ფული შევიდა, ამიტომ ამან გაამართლა, მაგრამ ხშირია დაძაბულობა კონტროლიორებსა და მგზავრებს შორის, რაშიც ხშირად მძღოლიც ერთვება და ეს ფაქტი მშვიდად არ სრულდება ხოლმე.



**— ტაქსებს რა პრობლემები აქვთ?**

– ტაქსების ყველაზე დიდი პრობლემა ისევ ფიქსირებული გადასახადის საკითხია, ზოგს ცოტასართმევენ, ზოგს ბევრს და ეს საკითხი უკონტროლოა. არავინ იცის, ვის რამდენს გადაახდევინებენ. სანამ მონობას არ მიუსჯიან ამ ტაქსის მძღოლებს, ადამიანებად რომ ჩათვალონ და მოუსმინონ, ხომ უკეთესი იქნება? დიდი პროექტი მაქვს მომზადებული, სად გვიჭირს და როგორ უნდა მოგვარდეს პრობლემა, თუ მომისმენენ, ამ ყველაფერს მალე ეშველება. საცობების პრობლემების მოსაგვარებლად, ცალმხრივი გზების პრობლემების გადასაწყვეტად და გზებზე ტრანსპორტის სწორ გადანაწილებასთან დაკავშირებით სასაუბროდაც ვარ მზად. უახლოეს დღეებში, იმედია, შევხვდები მათ და თუ მომისმენენ, ნახავს საზოგადოება, რომ რაღაც მართლა კეთდება.

**P.S.** როდესაც მერიის საქალაქო სამსახურები მუშაობას შეუდგებიან, „ალია" ტრანსპორტის სამსახურის პოზიციითაც დაინტერესდება.

**ჟანა ასანიძე**

558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საჯარო სკოლებში ექიმის კაბინეტები ამოქმედდება




საქართველოს მასშტაბით, 100 საჯარო სკოლაში საქართველოს განათლების სამინისტრო სამედიცინო კაბინეტის ფუნქციონირებისა და სკოლის ექიმის საქმიანობის საპილოტე პროგრამის განხორციელებას იწყებს.

კაბინეტებისთვის ექიმების შერჩევას ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შექმნილი კომისია უზრუნველყოფს, სამედიცინო კაბინეტების მოწყობასა და აღჭურვას კი განათლების სამინისტრო დააფინანსებს.

ახალი 2014-2015 სასწავლო წლის დაწყებისთვის სამედიცინო კაბინეტი პროგრამაში ჩართულ ყველა საჯარო სკოლაში დაიწყებს ფუნქციონირებას. ეტაპობრივად კი, საჭირო ინვენტარით, მედიკამენტებითა და სხვა აუცილებელი რესურსებით აღჭურვილი ექიმის კაბინეტი ყველა საჯარო სკოლას ექნება. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

## „ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა მოგვიწევს"



თბილისის მერი, დავით ნარმანია დედაქალაქის მიმდინარე წლის ბიუჯეტში არსებულ პრობლემებზე საუბრობს და აცხადებს, რომ ძალიან ბევრ მუხლში ბიუჯეტი უკვე ამოწურულია. მისივე თქმით, თბილისის მერიას ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა აუცილებლად მოუწევს, რათა წლის ბოლომდე გარკვეული პროექტები არ გაჩერდეს.

„თბილისის ბიუჯეტის რევიზია აუცილებელია. ძალიან დიდ ნაწილში და ბევრ მუხლში ბიუჯეტი ამოწურულია და ჩვენ ძალიან გაგვიჭირდება. აქედან გამომდინარე, მოგვიწევს ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა და დამატებითი სახსრების მოძიება, ერთი მუხლიდან მეორეში გადატანა, რათა წლის ბოლომდე, ავად თუ კარგად, თავი გავიტანოთ, რომ მომდევნო წლიდან სერიოზულად დავიწყოთ მუშაობა", – განაცხადა ნარმანიამ. (რეპორტიორი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


## აგარაკი, სადაც გიგი უგულავას ცოლ-შვილი ქირით ცხოვრობს თვეში 15 ათასი აშშ დოლარი ღირს



„ექსკლუზივ ნიუსის“ ინფორმაციით, გიგი უგულავას ოჯახი რამდენიმე თვეა, წავკისში, ფეშენებელურ სასახლეში ცხოვრობს და ქირაში კოლოსალურ თანხას იხდის.

– გიგი უგულავა დაკავებამდე რამდენიმე თვით ადრე, ცოლ-შვილთან ერთად წავკისში ქირით ცხოვრობდა. ამ სახლში ცხოვრების ერთი თვის ქირის საფასური, 15 ათას აშშ დოლარს შეადგენს. გიგი უგულავას წავკისის ვილაში, ქირის სახით, რამდენიმე თვეში დაახლოებით 100 ათასი აშშ დოლარი აქვს გადახდილი და გიგი უგულავას დაკავების შემდეგაც შეუფერხებლად გადაიხადეს ქირა. როგორც წავკისში მეზობლებმა გვითხრეს, გიგი უგულავამ თავისი ქონება ხელისუფლებას საგულდაგულოდ გადაუმალა და ცოლ-შვილი თავისი ბიზნესპარტნიორის ოჯახში ქირით გადაიყვანაო.

წავკისში ის სახლი, რომელშიც გიგი უგულავას ცოლ-შვილი ქირით ცხოვრობს და მასში 15 ათას აშშ დოლარს იხდის, დავით კეზერაშვილის ბიზნესპარტნიორს შალვა (შაკო) სირაძეს ეკუთვნის, – წერს სააგენტო.

შალვა სირაძე შპს „აუთდორ მედია ჰაუსის“ დირექტორია. ეს არის საქართველოში სარეკლამო კომპანიების ერთ-ერთი მსხვილი კომპანია, რომელიც დღემდე კეზერაშვილი-უგულავას ხელშია და ამ ბიზნესს, კეზერაშვილის კლანის წევრების გარდა, სხვა ვერავინ გაეკარება. ამ სარეკლამო კომპანიის გაკეთებულია ქალაქში განთავსებული სარეკლამო ბანერები თუ ბილბორდები.

*reportiori.ge*

## იუნა შაფათავა: „ყველამ საკუთარ სასქესო ორგანოებს მიხედოს და სხვაზე ნუ ინერვიულებს“





იუნა შაფათავა „კაზანტიპთან“ დაკავშირებით შექმნილ აჟიოტაჟს ეხმაურება. მისი თქმით, სექსი – არ არის კრიმინალი და დანაშაული! სექსი – ეს სიყვარულია!

– კაზანტიპი – მუსიკისა და სიყვარულის ზეიმი! სექსი და ნარკოტიკი არც თბილისს აკლია, არც სხვა რეგიონებს და აცადეთ ამ ხალხს, ზამთრის სარჩო-საბადებელი იშოვონ ჩამოსულების ხარჯზე... რისი გეშინიათ სულ? ყველამ საკუთარ სასქესო ორგანოებს მიხედოს და სხვაზე ნუ ინერვიულებს:) სექსი – არ არის კრიმინალი და დანაშაული! სექსი – ეს სიყვარულია! ნუ იბოლმებით – ჩაალაგეთ „კუპალნიკი“, ერთი შორტი, ერთი მაიკა და კაზანტიპ-ანაკლიის პლაჟისკენ:) დარწმუნებული ვარ, გართობა გარანტირებულია... მთავარია, დაცვა იყოს ორგანიზებული, ზედმეტად არ დაძაბონ სიტუაცია, მუსიკის ფესტივალებზე ცუდი განწყობა და ბოროტება არ არსებობს – მუსიკის ფესტივალი მშვიდობის მატარებელია ყოველთვის და ყველა საუკუნეში!!! შარშან ოაზისი მახსოვს, მცხეთის ამფითეატრში, მშვენიერი დრო ვატარეთ – მარიხუანის გამო კი 100 კაცი დაიჭირეს, არ მგონია ვინმეს კიდევ დარჩა სურვილი, ჯარიმები იხადოს და დააპატიმრონ... ნარკოტიკი არ გვემუქრება... გაერთონ ბავშვები, ფულიც შემოვა, კიდევ ჩამოვლენ – ხალხს სამსახური არ აქვს და შემოსავალი, ამღერონ და აცეკვონ და გაართონ რეგიონი და ჩვენც გაგვართონ!.. გაიღიმეთ, ცხოვრება მშვენიერია!!! – წერს იუნა შაფათავა.

*pia.ge*

## ანრი ჯოხაძე ავარიაში მოხვდა





მომღერალი ანრი ჯოხაძე ავარიაში მოხვდა, ანრის ავტომობილის ფოტო უკვე გამოჩნდა სოციალურ ქსელში. თავად ანრიმ კი აღნიშნულის შესახებ საზოგადოებას „ფეისბუკის“ გვერდიდან ამცნო.

– ცოცხალი ვარ!!! უბრალოდ, ავარია შემემთხვა და მანქანა დავამტვრიე... – წერს ჯოხაძე.

*itv.ge*



## რაში ბაძავენ ერთმანეთს შორენა ბეგაშვილი და კესარია აბრამიძე?



კესარია აბრამიძემ „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე ატვირთა ფოტოები, სადაც იმიჯშეცვლილია. ბოლო დროს კესარიას საკუთარ თავზე ექსპერიმენტებს ატარებს. ამჯერად ბეგაშვილის მსგავსად თმა დაიხვია. ამბობენ შორენა და კესარია ერთმანეთს ბაძავენო.

კესარია აბრამიძე:

– რა სისულელეა, სასაცილოა ამაზე კომენტარის გაკეთება, ბოლო 8 წელია დახვეული თმა მაქვს. იმხელა ფანტაზიის უნარი მაქვს, რომ არანაირად არ მივბაძავ სხვას. შორენა მოვლილი, ძალიან ლამაზი ქალია და არც იმას სჭირდება, მე მომბაძოს. ვიზაჟის სამი დიპლომი მაქვს და აქეთ მეკითხება ხალხი, რა გააკეთოს, მე ვის უნდა მივბაძო“?!

*mediamall.ge*



## „რა მიტინგი, შენს დედას შ***ცი, აცადე ხალხს გართობა, ბლიად“

ამის შესახებ ფეხბურთელი თორნიკე ოქრიაშვილი „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე წერს:

– კაზანტიპზე კარგი რა გაქვთ ნანახი, თქვე საწყლებო, უარს რო იძახით, რა მიტინგი, შენს დედას შევეცი, აცადე ხალხს გართობა ბლიად, – წერს ფეხბურთელი.

*pia.ge*

## „მე რომ მომწონს ეგ შუშის ხიდი, აუცილებლად მიშას ფანობას ნიშნავს ხომ?“



ამის შესახებ ჟურნალისტი ინგა გრიგოლია „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე წერს“.

– კოკს უფრო მოუხდება ხიდი, დოქები და მამენტ ველოც... და მე რომ მომწონს ეგ შუშის ხიდი, აუცილებლად მიშას ფანობას ნიშნავს ხომ????? – წერს გრიგოლია.

*pia.ge*



## გოგა ხაჩიძე: „მოქალაქე, რა ხდება გადაცემაზე? იმედია, არ გადაიფიქრეთ“

საპარლამენტო უმცირესობის დეპუტატი გოგა ხაჩიძე „ფეისბუკის“ პირად გვერდზე ბიძინა ივანიშვილს მიმართავს. მას აინტერესებს, ხომ არ გადაიფიქრა ყოფილმა პრემიერმა „ჯიდიეს“-ის ეთერში გადაცემის გაკეთება.

– ან ანონსი დადეთ ან რამე, ან სტუდია გვაჩვენეთ, როგორ ემზადებით?... მეც ხომ მჭირდება ცოტა დრო ჩემი გადაცემის მოსამზადებლად... – წერს ხაჩიძე

„ჯიდიეს“-მა ერთი თვის წინ დაადასტურა, რომ საზოგადოებრივ-შემეცნებითი თოქშოუს ავტორი და თანაწამყვანი, რომელიც ტელეკომპანიის ეთერში ახალი სეზონისთვის გავა, ბიძინა ივანიშვილი იქნება.

ხაჩიძე კი, როგორც თავად აცხადებს, საავტორო გადაცემის გაკეთებას სოციალურ ქსელში აპირებს და მისივე თქმით, გადაცემაში ბიძინა ივანიშვილის ტოქშოუს გაარჩევენ.

*news.ge*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



– რას გიგავს ცხვირ-პირი, ვინ გაგლახა?
– საყვარელი ქალისთვის ვიჩხუბე და...
– ბევრნი გირტყამდნენ?
– არა, სულ ორნი – ცოლი და სიდედრი...

*****

რა არის წარმატება?
4 წლის ასაკში – თუ ქვეშ არ იფსამ.
12 წლის ასაკში – თუ მეგობრები გყავს.
20 წლის ასაკში – თუ სექსით კავდები.
35 წლის ასაკში – თუ ბევრ ფულს შოულობ.
60 წლის ასაკში – თუ სექსით კავდები.
70 წლის ასაკში – თუ მეგობრები გყავს.
80 წლის ასაკში – თუ ქვეშ არ იფსამ.

*****

– მუშაობ სადმე?
– არსად!
– აბა, რას აკეთებ?
– არაფერს!
– მშვენიერია!
– ჰო, მაგრამ კონკურენტებმა ტვინი წამიღეს!..

*****

ორი მამაკაცი უკაცრიელ კუნძულზე აღმოჩნდა და ორივე საშინლად გაველურდა.
ერთ დღესაც დაინახეს, რომ მათ ნაპირს გემი უახლოვდება. ერთ-ერთმა წამოიყვირა:
– ვაშა! ახლა გემი მოგვიახლოვდება და იქიდან ადამიანები ჩამოვლენ!
– მაგარია! მთელი ზამთრისთვის საკმარის ხორცს ვიშოვით!..

*****



კონკია:
– ქოში მომერგო, ჩემო პრინცო, ქორწილი როდის გვექნება?
პრინცი:
– ეს მხოლოდ ნახევარფინალი იყო! ახლა კიდევ ერთი რაღაც უნდა მოგერგოს – 5 ზომა ბიუსტჰალტერი!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

## კომიდან გამოსულმა 81 წლის პენსიონერმა მეძავებს 50 ათასი დოლარი დაახარჯა



სულ ერთიანად აინაზღაურა ყველაფერი 81 წლის შვეიცარიელმა პენსიონერმა, რაც ახალგაზრდობაში დააკლდა – კომაში მოხუცი ხიდან გადმოვარდნის გამო ჩავარდა, თუმცა ექიმებმა მისი გადარჩენა შეძლეს და როცა ფეხზე დააყენეს,



აღმოაჩინეს, რომ გაურკვეველი მიზეზების გამო, პაციენტი ნამდვილი სექსგიგანტი გამხდარა.

ცნობილი გახდა ისიც, რომ 81 წლის პენსიონერი ხშირად იპარება სახლიდან და მთელ დროს საროსკიპოებში ატარებს. უფრო მეტიც, მოხუცს უკვე 50 ათას დოლარამდეც დაუხარჯავს, რის გამოც, მისი ნათესავები უკმაყოფილოები და შეშფოთებული არიან – მთელ დანაზოგს ფლანგავსო.

როგორც უკვე გითხარით, რამ გამოიწვია 81 წლის მამაკაცის ასეთი გააქტიურება, მედიკოსები ვერ ადგენენ და ვერც მის დამშვიდებას ახერხებენ.

**etotupo.ru**

## 6 კილო კარტოფილი 10 წუთში შეჭამა



არ იფიქროთ, დამშეული იყო და ამიტომაც შთანთქა 5 კილო კარტოფილი ამერიკელმა პეტ ბერტოლეტიმ. არა! საქმე ის ყოფილა, რომ გასულ დღეებში ტორონტომ შემწვარი კარტოფილის მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლა და მაყურებლების დიდი გაკვირვებაც გამოიწვია.

როგორც ირკვევა, პეტ ბერტოლეტიმ 13 ფუნტ (დაახლოებით 5,9 კილო) შემწვარი კარტოფილს ბოლო 10 წუთში მოუღო და მსოფლიო ჩემპიონის ტიტულიც დაისაკუთრა.

საერთო ჯამში, ფინალში 11 მონაწილე გავიდა, თუმცა „კარტოფილის მმუსვრელს" ვერავინ აჯობა და შეჯიბრს დროზე ადრე გამოეთიშა.

მართალია, გამარჯვების სანაცვლოდ, ბერტოლეტიმ არცთუ ისე დიდი საჩუქარი, სულ რაღაც, 750 აშშ დოლარი მიიღო, მაგრამ როგორც თავად ამბობს, მთავარი ის ემოციებია, რომელიც მსგავს ღონისძიებებს ყოველთვის თან სდევს.

**mainfun.ru**

## ჩინეთის დიდი კედლის გამძლეობის საიდუმლო... ბრინჯის ფაფაში იმალება?



ჰოდა, რა ხდება თურმე – მოგეხსენებათ, ჩინელები, ფაქტობრივად, ყველაფერს ბრინჯთან ერთად ჭამენ: ხორცს, ყველს, ბოსტნეულს, გველ-ბაყაყსა და თვითონ ბრინჯსაც კი ლამის ბრინჯს აყოლებენ ხოლმე. ამდენად, ვფიქრობთ, რომ სახელად ჩინეთის კი არა, ბრინჯეთის სახალხო რესპუბლიკა უფრო დამშვენდებოდა ამ ქვეყანას და მერე რა რიგად დამშვენდებოდა...

სხვათა შორის, ეს რომ მართლაც ასეა, ამაზე მეცნიერების მიერ დადგენილი ერთი საკმაოდ უცნაური მოვლენაც მეტყველებს. კერძოდ, იქაურმა ქიმიკოსებმა დაადგინეს, რომ ჩინეთის დიდი კედლის გამძლეობა ბრინჯის ფაფაზეა დამოკიდებული. უფრო ზუსტად, ქვების ერთმანეთზე უკეთ დამაგრებისთვის, მაშინდელი მშენებლები ერთგვარ წებოს იყენებდნენ, რომელიც სწორედ ბრინჯის ფაფისგან მზადდებოდა.

ჩჟენძიანის უნივერსიტეტის სპეციალისტების განმარტებით, მინის დინასტიის მმართველობის ხანაში, სწორედ იმ დროს, როცა ჩინეთის დიდი კედლის აგება დაიწყო, მშენებლობაში ბრინჯის ნახარშის გამოყენება სავსებით ბუნებრივი მოვლენა ყოფილა. „ბრინჯის ნახარშის უპირატესობას მასში შემავალი განსაკუთრებული ორგანული და არაორგანული ნივთიერებების შენაერთები განსაზღვრავდა. როგორც წესი, ბრინჯის ნახარშს კირი ემატებოდა და მშენებლობისთვის საჭირო ნივთიერებაც მზად იყო", – ასე განმარტავენ ძველ ჩინურ ტექნოლოგიას ქიმიკოსები.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბრინჯს, რომლისგანაც მშენებლები „წებოს" ამზადებდნენ, ჭამდნენ კიდეც. ამასთანავე, მას იყენებდნენ არა მხოლოდ ჩინეთის დიდი კედლის, არამედ სარკოფაგების, ტაძრებისა და სახლების მშენებლობის პროცესშიც.

**globalscience.ru**

## რატომ არ უნდა შეადაროთ თქვენი ხელფასი სხვისას?



ამ კითხვას საკმაოდ არასასიამოვნო პასუხი ფრანგმა მეცნიერებმა გასცეს, რომელიც შემდეგნაირად ჟღერს: „როცა ადამიანი საკუთარი შემოსავლის ოდენობას სხვისას ადარებს, შესაძლოა, შედეგად ქრონიკული



დეპრესია მიიღოს..."

საინტერესოა, რომ ფრანგი სპეციალისტების მიერ ჩატარებულ კვლევაში ოთხი ქვეყნის 19 ათასამდე მოქალაქე მონაწილეობდა. ექსპერტებმა დაადგინეს, რომ ხელფასების შედარებისას, ადამიანების უმრავლესობა, უფრო კონკრეტულად კი 87 პროცენტი, საკუთარი თავის რწმენასა და სიცოცხლის ხალისს კარგავს. კვლევის შედეგად დადგინდა ისიც, რომ ხელფასის სხვაობის აღქმა განსაკუთრებულ უარყოფით გავლენას ღარიბ ადამიანებზე ახდენს და ქრონიკული დეპრესიის რისკის ჯგუფში სწორედაც რომ ღარიბები შედიან.

**myjane.ru**

## ადამიანების სისულელეს საზღვარი არ აქვს, არა!



ბრიტანული საფოლკის საგრაფოს მკვიდრმა, 26 წლის ოსტინ კეტლმა თავის საქმროსთან, გაი ლიქსთან ერთად მოტოციკლით მოგზაურობის დაწყებაც კი ვერ მოასწრო, ისე განაწყენდა ტურისტულ კომპანია „თომას კოკზე" და შურისძიებისთვის მეტად უცნაური და სულელური გზა აირჩია – ახალგაზრდა ბრიტანელმა ქალმა სახელი და გვარი შეიცვალა და ამიერიდან ის მოიხსენიება, როგორც: მეზიზღება ფირმა „თომას კოკი" და მისი ბიზნესპარტნიორი „ბიგ შოტი", რომლებმაც ჩემი ძვირფასი გაი ლიქსიც კი გაანაწყენეს...

თუ კიდევ ვერ მიხვდით რაშია საქმე, გაგიმეორებთ – ტურისტულ კომპანიაზე განაწყენებულმა ინგლისელმა ძველი სახელი და გვარი – ოსტინ კეტლი ზუსტად იმ უსაშველო წინადადებით შეიცვალა, ზემოთ რომ მოგიყვანეთ და ყველა ოფიციალურ დოკუმენტში მისი ვინაობა მომავალში ასე უცნაურად ჩაიწერება.

როგორც ირკვევა, ტურისტული კომპანია „თომას კოკის" დახმარებით ბრიტანელი ახალგაზრდები მოტოციკლით მოგზაურობის დაგეგმვას ცდილობდნენ. ქორწილამდე რამდენიმე დღით ადრე ოსტინ კეტლმა ფირმას ბილეთები დააჯავშნინა, შეუღლების შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ პატარძალი ქმრის გვარზე გადავიდა, რის გამოც ბილეთებში მისი გვარის ჩასწორება და დამატებითი თანხის გადახდა გახდა საჭირო.

– მართალია, ყველა მეუბნება, რომ დიდი სისულელე ჩავიდინე, როცა ასეთი დიდი სახელი და გვარი დავირქვი, მაგრამ მინდა მთელმა მსოფლიომ გაიგოს – „თომას კოკი" მეზიზღება, – ამბობს მეზიზღება ფირმა „თომას კოკი" და მისი ბიზნესპარტნიორი „ბიგ შოტი", რომლებმაც ჩემი ძვირფასი გაი ლიქსიც კი გაანაწყენეს...

არა, რა! ადამიანების სისულელეს საზღვარი არ აქვს, არა!

**etotupo.ru**

## ქალებისთვის კოცნა სექსზე მნიშვნელოვანი ყოფილა



თუკი მამაკაცების უმეტესი ნაწილი ქალის საწოლში ჩათრევაზე ოცნებობს, მშვენიერი სქესისთვის რომანტიკულ გარემოში თბილი კოცნა უფრო მიმზიდველი და სასურველი ყოფილა.

სწორედ ასეთი შედეგები მიიღეს გერმანელმა სპეციალისტებმა ევროპის რამდენიმე ქვეყანაში ჩატარებული მასშტაბური კვლევის შედეგად.

საინტერესოა, რომ გამოკითხვაში 16-დან 91 წლამდე ასაკის ორივე სქესის 30 ათასი წარმომადგენელი მონაწილეობდა.

ჰოდა, აღმოჩნდა, რომ კოცნისგან სიამოვნებას ქალების 76%, ხოლო მამაკაცების 44% იღებს. გარდა ამისა, ცნობილი გახდა კიდევ ერთი საინტერესო ფაქტიც, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ მშვენიერ სქესს კოცნა არ უყვარს უშუალოდ სექსის დროს, მამაკაცებს კი პირიქით – კოცნა სწორედ აქტის დროს ურჩევნიათ.

– ეს კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ ქალებისთვის კოცნა სექსთან და აღგზნებასთან არ იგივდება, როგორც მამაკაცებს სჩვევიათ ხოლმე, – განმარტავენ კვლევის ავტორები და იმასაც ამბობენ, რომ ძლიერმა სქესმა ამბორზე უფრო მეტი უნდა იფიქროს, რადგან მეცნიერულ დონეზე უკვე არაერთხელ დამტკიცებულა, რომ კოცნა ჯანმრთელობის მდგომარეობას მნიშვნელოვნად აუმჯობესებს. მათ შორის, არეგულირებს არტერიულ წნევას, ამცირებს სისხლში ქოლესტერინის დონეს, ინფარქტის რისკი მინიმუმამდე დაჰყავს და ასე შემდეგ.

**factroom.ru**

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

რეკლამა: 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge




1. ქალაქი ესპანეთში
2. მას ესმე-რალდა უყვარდა
3. ერთ-კუზიანი აქლემი
4. ყურძნის ჯიში
5. „კაპიტან გრანტის შვილე-ბი" მეცნიერი
6. ცივი დესერტი
7. რე-ჟისორი კლოდ ...
8. წყლის საღებავი
9. მწვანი-ლების შეკვრა
10. ციხე-სიმაგრე თბილისში
11. ჰომე-როსის პოემა
12. მხ/ფ „2001 წლის კოსმოსუ-რი ..."
13. ფორმანის ფილმი მოცარტზე
14. იგივე
15. მსახიობი ჟულიეტ ...
16. ჟამი
17. ქართ. ესტ-რადო ანსამბლი
18. ქალაქი იაპონიაში
19. ფედერიკო ფელინის ფილმი
20. წყლის მოლუსკი
21. ... ამართ-ლებს საშუა-ლებებს
22. ფილმის ახალი ვერსიის გადაღება
23. მსახ. კეტრინ ... ჯონსი
24. მხ/ფ „ჩემი მეგობარი ..."
25. მსახიობი ... მარსო
26. მინდორი
27. ტბა პერუში
28. მეცნიე-რება თევზებზე
29. „სოლომონ ... მეჯღანუ-აშვილი"
30. კონტი-ნენტი
31. პატარა მგალობ. ფრინველი
32. მსახიობი ... სარალიძე
33. სტადიონი რიოში
34. ყვავილი
35. თევზი ელექტრ. მუხტით
36. საუბარი
37. კრემიანი ნამცხვარი
38. ავტო-სატრ. შემთხ-ვევა
39. ფას-დაკლება
40. უძველესი კოლხეთი
41. სომნამ-ბული
42. ძაფის დასარ-თავი წვრილი
43. მედი-ცინაში: მ.ქ. ანუ ... ქმრების კოეფი-ციენტი
44. ღრეობა
45. მწერალი ... ტვენი
46. დიდი ციგა
47. სოფელი ხარაგა-ულის რაიონში
48. მეგრე ... იაშინი
49. სახელ-მწიფო აფრიკაში
50. ნეტარ ... მორწმუ-ნენი
51. კეთილი ჯადოქარი
52. სამშე-ნებლო მასალა
53. ოპერის შესავალი ნაწილი
54. ბზრიალა
55. ... სტრავინ-სკი
56. დიდი სახმელეთო შენაერთი
57. ცხენის კუდის ბალანი
58. მწვანე ადგილი უდაბნოში
59. ბოლოკის სახეობა
60. დათა თუთაშხია, იგივე ... მუსკია
61. ქვეყნი-ერების დასას-რული
62. მხატვარი, რომელიც ცხოვე-ლებს ხატავს
63. მსახიობი ... ანუკ
64. მსახიობი ... არტმანე
65. მომ-ღერალი ... მორისეტი
66. მდინარე გერმა-ნიაში
67. რომის პაპის წითელი სამოსი
68. მსახიობი ... გრიფიტი
69. გარგან-ტუა და ...
70. ფიცარი ფანჯრის ქვეშ
71. რიცხვი 3,14
72. მიმართვა დირიჟო-რისადმი
73. რე-ჟისორი ელდარ ...
74. სახელმ-წიფო აზიაში
75. რუსი ფიზიო-ლოგი
76. რევო-ლუციური მუშათა კლასი
77. მხედართ-მთავარი
78. პაპინის შვილიშ-ვილი
79. მტაცებელი თევზი ამაზონში
80. საერთო ევროპული ვალუტა
81. სარწმუ-ნოება ზოგადად
82. ძველი სტილი მოდაში
83. ... გათვალ-დების ყორანი
84. დადებითი ელექტ-როდი
85. მსახიობი ... ლიოტა
86. სისხლის მიმოქცევის ორგანო
87. უეცარი შიში
88. მსახიობი ... ჭანი
89. თბილისის უბანი
90. მსახიობი სოფი ...
91. სრული გამარ-ჯვება ძიუდოში
92. მახრჩო-ბელა გველი ამაზონში
93. თმის საშრობი ხელსაწყო
94. ვლადიმერ ულიანოვი, იგივე ...
95. ნაწ-ვივანი ხის ყვავილედი
96. ქართ. ყურძნის ჯიში
97. რე-ჟისორი ... დოლიძე
98. ქალაქი უკრაინაში
99. აშშ-ს ფულის ერთეული
100. მაღაზიის დიდი ფანჯარა
101. ტყემლის მჟავე სანებელი
102. თბილისის უბანი
103. ცხენ-ბურთი
104. კუნძული ავსტრა-ლიასთან
105. წახალი-სება
106. რომის პაპის თავსაბურ-ავი
107. ძაღლის ნაშიერი
108. გადაშე-ნებული ფრინველი
109. ბილი-არდის ჯოხი
110. ქალაქი პოლონეთ-ში
111. ალკო-ჰოლური სასმელი
112. მსახიობი ... რუსო
113. რე-ჟისორი ... პარკერი
114. სოუსი სალათი-სათვის
115. კამერონის ფილმი
116. კატის ნაშიერი
117. იანის საპირის-პირო
118. მათემა-ტიკური გამოსა-ხულება
119. ჩანთო-სანი დათვი
120. მწერალი ანდრე ...
121. ბულგა-რული არაყი
122. ელვის ... პრესლი
123. ანწლი
124. აზერ-ბაიჯანის დედაქა-ლაქი
125. ფრედი მერკურის ანსამბლი
126. რეპუტაცია
127. პოეტი ... აბაშიძე
128. ... კლარ-ჯეთი
129. ქალაქი საფრან-გეთში
130. მათემა-ტიკური უცნობი
131. ხერხემლის ძვალი
132. რომაელი იმპერა-ტორი
133. ადამიანის თავის წინა ნაწილი
134. კახური ტკბილი პური
135. მსახიობი ... აფლეკი
136. მსახიობი ... დეპი
137. მწერალი ... ბულიჩოვი
138. ნიშნავს ცივს
139. ხის ბიჭუნა
140. ტკბილეუ-ლის მოყვა-რული
141. რე-ჟისორი ... ჰოვარდი
142. ... სუხიშ-ვილი
143. უესლი სნაიპსის ფილმი
144. მწერალი თომას ... რიდი

პასუხები: 1. ბარსელონა; 2. კვაზიმოდო; 3. დრომადერი; 4. პინო; 5. პაგანელი; 6. ნაყინი; 7. ლელუში; 8. აკვარელი; 9. კონა; 10. ნარიყალა; 11. „ილიადა"; 12. ოდისეა; 13. „ამადეუსი"; 14. არაკი; 15. ბინოში; 16. დრო; 17. „ორერა"; 18. ოსაკა; 19. „რვანახევარი"; 20. მიდია; 21. მიზანი; 22. რიმეიქი; 23. ზეტა; 29. ნოდარი; 25. მარსელ; 26. ველი; 27. ტიტიკაკა; 28. იქთიოლოგია; 29. ისაკიჩ; 30. ამერიკა; 31. ნიბლია; 32. ტრისტან; 33. მარაკანა; 34. მიმოზა; 35. სკატი; 36. ბაასი; 37. ტორტი; 38. ავარია; 39. სეილი; 40. აია; 41. მთვარეული; 42. თითისტარი; 43. მარგი; 44. ორგია; 45. მარკ; 46. მარხილი; 47. მოლითი; 48. ლევ; 49. მალავი; 50. არიან; 51. ფერია; 52. აგური; 53. უვერტიურა; 54. ჩიკორი; 55. იგორ; 56. არმია; 57. ძუა; 58. ოაზისი; 59. თალგამი; 60. არზნევ; 61. აპოკალიფსი; 62. ანიმალისტი; 63. ემე; 64. ვია; 65. ალანის; 66. რაინი; 67. კამაურო; 68. მელანი; 69. პანტაგრუელი; 70. რაფა; 71. პი; 72. მაესტრო; 73. რიაზანოვი; 74. ირანი; 75. პავლოვი; 76. პროლეტარიატი; 77. სარდალი; 78. აკიმი; 79. პირანია; 80. ევრო; 81. რელიგია; 82. რეტრო; 83. არ; 84. ანოდი; 85. რეი; 86. გული; 87. ელდა; 88. ლოლაშვილი; 89. დიდუბე; 90. ლორენი; 91. იპონი; 92. ანაკონდა; 93. ფენი; 94. ლენინი; 95. გირჩა; 96. ჩხავერი; 97. სიკო; 98. ლვოვი; 99. დოლარი; 100. ვიტრინა; 101. კვაწარახი; 102. ავლაბარი; 103. პოლო; 104. ტასმანია; 105. სტიმული; 106. ტიარა; 107. ლეკვი; 108. მოა; 109. კიი; 110. კრაკოვი; 111. ვისკი; 112. რენე; 113. ალან; 114. მაიონეზი; 115. „ავატარი"; 116. კნუტი; 117. ინი; 118. წილადი; 119. კოალა; 120. მორუა; 121. რაკია; 122. აარონ; 123. ავი; 124. ბაქო; 125. „ქვინი"; 126. რენომე; 127. ირაკლი; 128. ტაო; 129. ლიონი; 130. იქსი; 131. მალა; 132. ნერონი; 133. სახე; 134. ნაზუქი; 135. ბენ; 136. ჯონი; 137. კირ; 138. კრიო; 139. პინოქიო; 140. მსუნაგი; 141. რონ; 142. ილიკო; 143. „ბლეიდი"; 144. მაინ. იკითხება: საზამთრო.

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## იცით, რა კავშირია მამაკაცსა და ბაყაყს შორის?



საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა ეკოლოგებისა და გეოგრაფების საერთაშორისო ექსპედიციის მუშაობა პაპუა ახალ გვინეაში, სადაც მათ ბაყაყის დღემდე უცნობი სახეობა აღმოაჩინეს და გარეგნული თავისებურებებიდან გამომდინარე, პინოქიო დაარქვეს – ბაყაყს უჩვეულოდ გრძელი ცხვირი ჰქონია.

გარდა იმისა, რომ პინოქიო გარეგნულადაა გამორჩეული, ცხვირსაც საკმაოდ უჩვეულო მიზნებისთვის იყენებს – თურმე, მამრებში ამ ორგანოს სექსუალური დატვირთვა აქვს მიღებული. კერძოდ, როცა ის მდედრის მიმართ ინტერესს იჩენს და შეჯვარებისთვის ემზადება, ცხვირი უგრძელდება, განაყოფიერების დასრულების შემდეგ კი კვლავ ჩვეულ ზომებს უბრუნდება.

საინტერესოა და ალბათ, ბევრსაც არ ეცოდინება, რომ მართალია, თვალისთვის ნაკლებად ხილულ, მაგრამ დაახლოებით ანალოგიურ გავლენას განიცდის მამაკაცის ცხვირიც, როცა აღგზნებულია. სპეციალისტების განმარტებით, ამ დროს ზომებში იზრდება, უფრო სწორედ, ფართოვდება ცხვირიც, განსაკუთრებით კი ეს მოვლენა ვიაგრის მიღების შემდეგ შეიმჩნევა.

რა კავშირია ბაყაყსა და მამაკაცს შორის, ჯერჯერობით ვერავინ დაადგინა და იმედია, ვერც ვერასოდეს დაადგენს, თუმცა ერთი რამ ფაქტია – ვნების დემონსტრაცია ბაყაყებში უფრო შესამჩნევი ყოფილა.

*factroom.ru*

## გაზიან სასმელებს... ინსულტის გამოწვევა შეუძლია?



ის, რომ გაზიანი სასმელები ადამიანის ჯანმრთელობისთვის არცთუ სასარგებლოა, არახალია, თუმცა ამერიკელი მეცნიერების მიერ გამოტანილი ახალი დასკვნა ყურადღებას ნამდვილად იმსახურებს – ლუიზიანას შტატის სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ დიდი რაოდენობით გაზიანი სასმელების მიღებას, შესაძლოა, ინსულტის განვითარებაც კი მოჰყვეს.

სპეციალისტებიც ამბობენ, რომ დიდი რაოდენობით შაქრის შემცველი სასმელი წონის მომატებისა და დიაბეტის გაჩენის რისკთან იყო დაკავშირებული და ეს უკვე ყველამ იცოდა, მაგრამ, როგორ მოქმედებდა ის არტერიულ წნევაზე, ამის შესახებ ცნობილი პირველად გახდა.

– კვლევებმა აჩვენა, რომ, თუკი ადამიანი რაციონიდან შაქრიანი და გაზიანი სასმელების ამოღებას თანხმდება, ამით არტერიულ წნევასაც ირეგულირებს, – განმარტავენ ამერიკელი სპეციალისტები და დასძენენ, რომ ჰიპერტონიისა და ინსულტის გამოწვევა დღეში ორ ჭიქა გაზიან სასმელსაც შეუძლია, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუკი ადამიანის იმუნიტეტი დასუსტებულია.

აღსანიშნავია, რომ ამ დასკვნის გავრცელებამდე ამერიკელებმა 18-თვიანი კვლევა ჩაატარეს და რამდენიმე ათასი ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა შეისწავლეს. ამდენად, კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, ეს ახალი დასკვნა ყურადღებას ნამდვილად იმსახურებს.

*medkarta.com*

## ნაადრევ მშობიარობას გენეტიკა განაპირობებს?



აბერდინის უნივერსიტეტში ჩატარებულმა კვლევამ სპეციალისტებს შემდეგი დასკვნის გამოტანის საშუალება მისცა:

– დედებს, რომლებიც თავად დაიბადნენ წინასწარ განსაზღვრულ ვადამდე, ან მათი ძმები და დები მოევლინნენ დღის სინათლეს დროზე ადრე, აქვთ დაახლოებით 60-პროცენტიანი შანსი, რომ პირველი მშობიარობა მათაც ნაადრევი ჰქონდეთ, შემდგომ მშობიარობებში კი ეს შანსი 50 პროცენტამდე მცირდება.

ასეთი დასკვნები მეცნიერებმა მას შემდეგ გამოიტანეს, რაც 1948-2008 წლებში დაბადებული 22343 ქალის მონაცემი შეისწავლეს.

კვლევის ავტორთა განმარტებით, ვადამდელი მშობიარობა, სამწუხაროდ, საკმაოდ ხშირად ხდება ახალშობილების გარდაცვალების, ან ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემების გაჩენის მიზეზი. ამდენად, აღნიშნული დასკვნა მნიშვნელოვანია იმით, რომ შესაძლებელი გახდა ვადამდელი მშობიარობის მიზეზის დადგენა, რომელთან ბრძოლას სპეციალისტები გენების შეცვლით შეეცდებიან.

*myjane.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**7 აგვისტო:** აზრები შეიძლება ძალიან არეული გქონდეთ, გრძნობები – მყიფე. მსგავს მდგომარეობაში არის რაღაც ხიბლი, მაგრამ უმჯობესია, გონს მოხვიდეთ.

**კურო 22.04-21.05**

**7 აგვისტო:** რამე ახალი საქმე გამონახეთ, რაც ადრე არ გიკეთებიათ. ამით დიდ სიამოვნებას მიიღებთ. ერთადერთი პრობლემა შეიძლება ახლობლების რეაქცია იყოს თქვენს ქცევაზე.

**ტყუპები 22.05-21.06**

**7 აგვისტო:** ხალხმრავალი კამპანიების განწყობაზე არ იქნებით, მაგრამ მეგობრები შემოგიჩნდებიან. დროებით გაერიდეთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**7 აგვისტო:** არანაირ ვითარებაში არ გაგახსენდებათ, რა არის შიში, სამაგიეროდ, არავითარ სიტუაციაში არ დაგავიწყდებათ, რა არის სიყვარული. თქვენს სურვილებსა და შესაძლებლობებს შორის გადაულახავი ბარიერი არ არსებობს.

**ლომი 23.07-22.08**

**7 აგვისტო:** დღევანდელი დღის გეგმებში აუცილებლად შეიტანეთ შესწორება, რომელიც ლავირების საშუალებას მოგცემთ. როგორც ჩანს, სასწრაფოდ რაღაცის შეცვლა მოგიწევთ.

**ქალწული 23.08-22.09**

**7 აგვისტო:** შეიძლება მთელი დღე იმაზე ფიქრში გაატაროთ, უკეთესად როგორ შეასრულოთ ესა თუ ის საქმე. ამასობაში შეიძლება ჩანაფიქრის ასრულება ველარ მოასწროთ.

**სასწორი 23.09-22.10**

**7 აგვისტო:** შეეცადეთ, დინებას მიჰყვეთ. თუ წინააღმდეგობის გაწევას დაიწყებთ, ისე მოგექცევიან, როგორც ჯიუტ ბავშვს.

**მორიელი 23.10-21.11**

**7 აგვისტო:** შეიძლება თქვენს ხუმრობებზე არ გაეცინოთ, მაგრამ ამის გამო გული არ გაიტეხოთ, მათ მომავალში ხშირად გაიხსენებენ და იმხიარულებენ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**7 აგვისტო:** არ დაგავიწყდეთ, რომ ზოოპარკის მხეცი არ ხართ და არავითარი გისოსები არ გიშლით ხელს, დატოვოთ ადგილი, რომელიც მოგბეზრდათ.

**თხის რქა 22.12-19.01**

**7 აგვისტო:** დღეს გაორებული გრძნობები დაგეუფლებათ – სურვილი, რომ ბევრი რამ შეცვალოთ და შიში, არ დაკარგოთ ის, რაც გაგაჩნიათ. ოქროს შუალედი ეძებეთ.

**მერწყული 20.01-18.02**

**7 აგვისტო:** მიეცით თავს უფლება, დატკბეთ იმით, რასაც დღემდე მიაღწიეთ. ის, რომ რაღაც ადვილად გამოგივიდათ, ეს მის ფასს არ ამცირებს. შეგიძლიათ საკუთარი თავით იამაყოთ.

**თევზები 19.02-20.03**

**7 აგვისტო:** შეიძლება დღეს თქვენი ცხოვრების რიტმი რაღაც უმნიშვნელომ დაარღვიოს. შეეცადეთ, მაქსიმალურად მშვიდად იყოთ, ამას საშინელება არაფერი მოჰყვება.

## მუტანტი პარაზიტი მსოფლიოს მასობრივი შიმშილის საფრთხეს უქმნის?!



საფრთხე რომ მართლაც სერიოზულია, ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ მუტანტი პარაზიტის შესახებ, რომელსაც მეცნიერები მოიხსენიებენ, როგორც – „ღეროვანი ჟანგი", მთელ მსოფლიოში საუბრობენ, ოფიციალური დასკვნა კი ამ თემაზე სანკტ-პეტერბურგში გამართულ ხორბლის VIII საერთაშორისო კონფერენციაზე დოქტორმა ჰანს-იოაჰიმ ბრაუნმა წარადგინა.

მისი განმარტებით, მეცნიერების თვალში მოწითალო-მოყავისფრო შეფერილობის სოკო ჯერ კიდევ 50 წლის წინათ მოხვდა. სწორედ მაშინ გაირკვა, რომ ხორბლეული კულტურისთვის ჟანგი ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო დაავადება იყო და აქედან გამომდინარე, სელექციონერებმა ისეთი მცენარის გამოყვანა შეძლეს, რომელსაც სოკოს დამარცხება შეეძლო.



– სამწუხაროდ, დღევანდელი სურათი რადიკალურად შეიცვალა – სოკომ განიცადა და მისი ახალი ფორმები ყველაზე უფრო ძლიერ მცენარესაც ანადგურებს, – ამბობს ჰანს-იოაჰიმ ბრაუნი.

მისივე ინფორმაციით, მუტაციაგანცდილი ჟანგი პირველად 1999 წელს უგანდაში აღმოაჩინეს, რის შემდეგაც ის, ფაქტობრივად, ყველა აფრიკულ სახელმწიფოს მოედო, ბოლო რამდენიმე სეზონზე კი კენიელმა ფერმერებმა მოსავლის მთელი 80 პროცენტი დაკარგეს.

– ყველაზე საგანგაშო ის არის, რომ ქარის დახმარებით სოკო ძალიან ადვილად ვრცელდება და თუკი ის სხვა კონტინენტებზეც მოხვდება, დამღუპველ შედეგებს გამოიღებს. ამასთანავე, „ღეროვანი ჟანგის" გავრცელების საშიშროება უკვე გამოჩნდა აზიაშიც, სადაც ხორბლის მსოფლიო მოსავლის 20 პროცენტი მოჰყავთ, – განმარტავს ბრაუნი, რომელიც პრობლემის მოგვარების გზების შესახებ ვერაფერს ამბობს.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*vesti.ru*



კოტე დედას ეკითხება:

– დედიკო, მართალია, რომ საჭმელს ღმერთი გვაძლევს?

– ჰო, მართალია.

– და ბავშვები წეროებს მოჰყავთ, არა?

– რა თქმა უნდა!

– დე, საჩუქრებს ახალ წელს თოვლის ბაბუა მჩუქნის?

– კი, თოვლის ბაბუა.

– აბა, მითხარი, თუ შეიძლება – რა ჯანდაბად გვინდა მამიკოს სახლში ტყუილად რომ ვაჩერებთ?!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია" და „კვირის ქრონიკა"

ალია ≫ 211359457 ქრონიკა

დამფუძნებელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაქვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში"** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი 30-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 01.18